# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 30 იანვარი, 2009 წელი.
№ 17 (6118)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.

## ოპოზიცია გაერთიანების ნაცად ხერხს მიმართავს



2

- გადადგეს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობიდან;
- ჩატარდეს პრეზიდენტისა და პარლამენტის ვადამდელი არჩევნები;
- შეიქმნას სათანადო პირობები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.



## ირაკლი ალასანია - ირაკლი ალასანიას გუნდის კაპიტანი?!

3

## „რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა“



## არ შეიძლება მოწინააღმდეგის სისუსტეს ან სიძლიერეს ხელისუფლება განსაზღვრავდეს

4



**ირაკლი მენაღარიშვილი:**

## თუკი რუსეთი შეეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობის ნების აღსრულებას, ადრე თუ გვიან ამას შესაბამისი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება

## ობამას ნანობილეთი



7




## რუსეთი კიდევ ერთ შავი ზღვის ფლოტს ქმნის

8

## ჯავახელი ჯაშუშები



**ინფორმაცია**

# უწმინდესმა რუსეთის პატრიარქს მიულოცა

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ახლად არჩეულ რუსეთის პატრიარქს კირილს საპატრიარქო ტახტზე არჩევა წერილობით მიულოცა.**

უწმინდესის სახელით მისალოცი წერილი რუსეთის საპატრიარქოში 28 იანვარს გაიგზავნა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ახლადარჩეულ რუსეთის პატრიარქს კირილს ჯანმრთელობა, სულიერი სიმტკიცე და ღვთის შეწევნა უსურვა.

* * *

**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სტაციონარში კიდევ რამდენიმე დღე გააგრძელებს მკურნალობას.**

აღნიშნული გადაწყვეტილება მედიკოსებმა, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და კლინიკის ხელმძღვანელმა ფრიდონ თოდუამ გუშინდელ კონსილიუმზე მიიღეს.

როგორც კონსილიუმის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა და კლინიკის ხელმძღვანელმა განაცხადეს, პატრიარქის მდგომარეობა შედარებით უკეთესია, მაგრამ საბოლოო გამოჯანმრთელებამდე სასურველია, უწმინდესი კლინიკაში დარჩეს.

რაც შეეხება რუსეთის პატრიარქის კურთხევის ცერემონიას, მოსკოვში საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია პატრიარქის გარეშე გაემგზავრება.

* * *

**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს, სამღვდელოებას, მედიკოსებს ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადა.**

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, მალე გამოჯანმრთელდება და კარგად იქნება, თანადგომისა და ლოცვისთვის კი, ყველას მადლობა გადაუხადა.

**ინტერპრესნიუსი**

**პარტიებსა და მოძრაობებში**

# ოპოზიცია გაერთიანების ნაცად ხერხს მიმართავს

**სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა საგანგებო შეკრება გამართეს, სადაც საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.** დოკუმენტი ძირითადად სამი მოთხოვნისგან შედგება და მთავარ მიზნად ხელისუფლების უმოკლეს ვადებში შეცვლას ისახავს: „მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ხუთი წლის განმავლობაში უკანონობასა და ძალადობაზე დაფუძნებული მმართველობით კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. ჩვენი საერთო შეფასებით, ამ გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი მომდევნო დღე ახალ პრობლემებს უქადის სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქეებს. შექმნილ ვითარებაში საქართველოს თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალია ყველაფერი გააკეთოს უმოკლეს ვადებში ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შესაცვლელად. ამიტომ, ჩვენ, ვინც დეკლარაციას ხელს ვაწერთ, მოვითხოვთ:

**1. გადადგეს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობიდან;**

**2. ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები;**

**3. შეიქმნას სათანადო პირობები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად“.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სამშობლოს ერთგულება მოითხოვს გადაუდებელი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას ქვეყნის თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების, გამთლიანებისა და ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის უზრუნველსაყოფად, რომ დეკლარაცია ღიაა ხელმოსაწერად ყველასთვის, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა და მსოფლმხედველობისა, ის გამოხატავს მის ხელმომწერთა მზადყოფნას აქტიური მოქმედებისთვის სააკაშვილის რეჟიმის შესაცვლელად.

დეკლარაციას ხელი უკვე მოაწერეს: „ახალმა მემარჯვენეებმა“, „რესპუბლიკელებმა“, „ქალთა პარტიამ“, „ქართულმა აკადემიამ“, „მოძრაობამ ერთიანი საქართველოსთვის“, „მოძრაობა თავისუფლებამ“, „ხალხის პარტიამ“, „კონსერვატორებმა“, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“, „ტრადიციონალისტებმა“ „მრეწველებმა“, „მწვანეთა პარტიამ“ და ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივი“.

შეკრებას არ ესწრებოდნენ: „ლეიბორისტები“, პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ დეკლარაციას სოლიდარობას უცხადებს, თუმცა არ უერთდება. მისი აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში პირველად პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყება, რისი ინიციატორიც სწორედ ლეიბორისტული პარტიაა.

შეხვედრაზე ოპოზიციურ პარტიებს მომდევნო ნაბიჯებსა და ზოგადად სამომავლო გეგმებზე



კონკრეტული განცხადებები არ გაუკეთებიათ. შესაბამისად არც იმაზე თქმულა რამე, თუ როგორ, რა ფორმით აპირებენ დეკლარაციაში მოცემული მოთხოვნებისა და მიზნების განხორციელებას.

**ჯაბა ჟვანია**

**ხედვა**

# ირაკლი მენაღარიშვილი: თუკი რუსეთი შეეწინააღმდეგება საერთაშორისო გაერთიანების ნების აღსრულებას, ადრე თუ გვიან ამას შესაბამისი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება

**რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის ომის შესახებ ევროსაბჭოს ასამბლეის № 16/33 რეზოლუციის შეუსრულებლობისა და იმავე ასამბლეის მიერ ამავე საკითხზე მიღებული რეზოლუციის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ობამა-მედვედევს შორის ლონდონში დაგეგმილი შეხვედრის სავარაუდო შედეგებსა და ნატოში საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრების საკითხში ვაშინგტონის პოზიციის გადახედვის მოსკოვის მოლოდინებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**

**– ბატონო ირაკლი, ვითარებაში, როცა რუსეთი არც მალავს, რომ იგი არ აპირებს ევროსაბჭოს ასამბლეის წინა რეზოლუციის რეკომენდაციებიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანი პუნქტების შესრულებას, რომელიც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული სამხედრო ძალების გაყვანასა და ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გაწვევას ეხება, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით მორიგი რეზოლუციების მიღებას?**

– ყველა ამ რეზოლუციას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და გამოხატავს საერთაშორისო თანამეგობრობის ნებას. თუკი რუსეთი შეეწინააღმდეგება საერთაშორისო გაერთიანების ნების აღსრულებას, ამას ადრე თუ გვიან შესაბამისი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება. ილუზია იმისა, რომ რუსეთი ევროსაბჭოს ასამბლეის რეზოლუციის რეკომენდაციებს შეასრულებდა და თავის ნამოქმედარს უკან ულაპარაკოდ წაიღებდა, არ უნდა გვქონოდა და არც არავის ჰქონია, მით უმეტეს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას რუსეთზე განსაკუთრებული ზეწოლისა და ზემოქმედების ინსტრუმენტები ნაკლებად აქვს.

ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთმა არად ჩააგდო ვალდებულება, რომელიც 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებით თავის თავზე აიღო. ამიტომ საერთაშორისო გაერთიანება ვალდებულია აიძულოს რუსეთი პატივი სცეს მის მიერვე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. საერთაშორისო გაერთიანებას ამ მიზნის მისაღწევად სვლა ნაბიჯ-ნაბიჯ მოუწევს.

**– რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირმა რუსეთთან თანამშრომლობა შეაჩერა, მაგრამ ეს ურთიერთობები უკვე პრაქტიკულად აღადგინა. თებერვლის პირველ ნახევარში ნატო-რუსეთის თანამშრომლობაც აღდგება. რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთისადმი ასეთი, რბილად რომ ვთქვათ დასავლეთის ლოიალური დამოკიდებულება?**

– რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობის ის მოთამაშეა, რომლის იგნორირება ადვილი არ გახლავთ. მას არა მარტო ფიზიკური ზომები აქვს დიდი, არამედ საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, მათ შორის სამხედროც. ასე რომ, რუსეთის დარწმუნება,



ყური დაუგდოს და დაემორჩილოს საერთაშორისო გაერთიანების ნებას, ასე მარტივი არ გახლავთ.

არც ნატოსთვის და არც ევროკავშირისთვის რუსეთთან უზრად ყოფნა დიდი ხნის განმავლობაში კომფორტული მდგომარეობა არ გახლავთ. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს თემა ამ ორივე საერთაშორისო სტრუქტურის დღის წესრიგიდან იხსნება. მეტიც, ისიც ცნობილია, რომ ნატო სულაც არ აპირებს რუსეთთან ჩვეულებრივად გააგრძელოს ურთიერთობა. ნატო რუსეთთან მუშაობის რეჟიმში შეეცდება დაარწმუნოს იგი, რომ მან პატივი უნდა სცეს თავის მეზობლებს. აქედან გამომდინარე, ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთ-ევროკავშირსა და ნატო-რუსეთს შორის დიალოგის აღდგენა ხელს შეუშლის საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

**– ობამა-მედვედევის შეხვედრა დაიგეგმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გამოთქვამს რწმენას, რომ ნატო საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრების საკითხში თავის დამოკიდებულებას გადახედავს. რამე ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ ვაშინგტონის საქართველოსთან და ვაშინგტონის მოსკოვთან ურთიერთობებში?**

– საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია, ბუშის ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, განსხვავებულად მიუდგება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრინციპულ საკითხებში ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის მიდგომა განსხვავებული იქნება. კარგად არის ცნობილი ბარაკ ობამასა და ქალბატონ ჰილარი კლინტონის მიერ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ გაკეთებული განცხადებები. მათ არც არასოდეს დაუმალავთ, რომ მათთვის მიუღებელია რუსეთის დამოკიდებულება მეზობლებისა და ყოფილი სატელიტების მიმართ. ამიტომ, მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ამერიკულ-რუსული დიალოგი, რომელიც აუცილებლად უნდა განვითარდეს და შეუძლებელია სხვანაირად იყოს, ჩვენთვის ცუდი ნიშნით წარიმართება. დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის დიალოგი ასევე რუსეთის შიდაპოლიტიკური პროცესების განვითარებას შეეხება.

რაც შეეხება ობამა-მედვედევის შეხვედრას, მართალია ბატონმა ლავროვმა ცოტა წინ გაუსწრო მოვლენებს, როცა გამოაცხადა, 2 აპრილს პრეზიდენტები ერთმანეთს ლონდონში შეხვდებიანო. ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ლონდონში დიდი ოცეულის სამიტია დაგეგმილი, მაგრამ ჯერჯერობით ობამა-მედვედევის შეხვედრა დაგეგმილი არ არის. არ გამოვრიცხავ რომ პრეზიდენტებმა ისარგებლონ ასეთი შემთხვევით და მათ შორის შედგეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

რა იქნება ამ შეხვედრის დღის წესრიგში, წინასწარ თქმა ძნელია, მაგრამ ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში პრობლემები მოიხსნება, პირიქით, ყველა ის საკითხი, რომელიც პრობლემური იყო ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში, ახალი ადმინისტრაციის მიერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უდავოდ ახალი ძალით იქნება დასმული.

**კობა ბენდელიანი**

**ინფორმაცია**

## ბომბორას აეროპორტს რუსები დაეპატრონებიან

**აფხაზეთში, შესაძლოა, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების საავიაციო დაჯგუფება განთავსდეს. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსს“ მოსკოვიდან სამხედრო-დიპლომატიურმა წყარომ აცნობა.**

საავიაციო დაჯგუფება რუსული სამხედრო ბაზის ფარგლებში იფუნქციონირებს.

გუდაუთის რაიონში, ბომბორას ავიადრომზე რუსული ავიადაჯგუფების განთავსების საკითხი აფხაზურ მხარესთან განიხილება. პარალელურად მიმდინარეობს ოჩამჩირეში შავი ზღვის ფლოტის გემების ბაზირების საკითხის შეთანხმებაც, – განაცხადა წყარომ.

მისი თქმით, რუსეთი აფხაზეთში დაახლოებით 20 თვითმფრინავის განთავსებას აპირებს, მათ შორის „სუ-27“ გამანადგურებლების, „სუ-25“ მოიერიშეებისა და სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების.

## საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნეს

**სროლის ხმა ისმოდა გვიან ღამით ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.**

რუხის გამგებლის ბეჟან თოდუას ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან ქართული საგუშაგოს მიმართულებით აფხაზი შეიარაღებული პირები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარმტყორცნებიდანაც ისროდნენ, თუმცა ქართველებს სროლით არ უპასუხიათ.

ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, არ არიან დაჭრილებიც.

**ინტერპრესნიუსი**

თვალსაზრისი

# ირაკლი ალასანია - ირაკლი ალასანიას გუნდის კაპიტანი?!

***ქვეყნის პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის მოხსენიება მუდმივად სახელითა და გვარით, ან წარსული სტატუსით მოგვიწევს. „ყოფილი ელჩი გაეროში“, — ეს ირაკლი ალასანიას ამჟამინდელი სტატუსია, რომლითაც ოპოზიციაში მოღვაწეობს (?). მან ღიად თქვა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას არ აპირებს, თუმცა საზოგადოების წინაშე საკუთარი გუნდით წარსდგება. რაც შეეხება საპრეზენტაციო გუნდს, რომლის კონტურებიც ამთავითვე ნათელია, და სადაც მრავლად იქნებიან მისი თანამოაზრეები აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში მოღვაწეობის პერიოდიდან, ან თუნდაც უფრო ადრინდელი „სტრუქტურიდან“, აქაც იქმნება დისკომფორტი. თუმცა ასეთ შემთხვევაში კიდევ ერთი სტატუსი ჩნდება — „ირაკლი ალასანია — ირაკლი ალასანიას გუნდის კაპიტანი“?***

იმის გარდა, რომ ირაკლი ალასანიას პრეზიდენტობა სურს და ამ განზრახვაზე ხელის აღებისა და „გუნდში დარჩენის“ სანაცვლოდ, მსუყე თანამდებობას სთავაზობდნენ, ყველაფერი კვლავ ბუნდოვანი რჩება. დრო გვაჩვენებს, რამდენად ინანებს საკუთარ გადაწყვეტილებას აქტიურ პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, მაგრამ ცხადია, რომ მან უკვე შესცურა მდინარეში და როგორ და როდის მიაღწევს ნაპირს, ეს მასზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურის მოღვაწეობას უკავშირდება და ასეცაა ალასანიას შემთხვევაშიც, არის თემა, რომლის მოგვარება თუ გადაწყვეტა მასთან იქნება ასოცირებული. თემა კი, რომელიც ამ ეტაპზე ალასანიასეულ პერსპექტივას უკავშირდება, ტერიტორიული მთლიანობაა.

საზოგადოებისთვის ნათელია, რომ ეს საკითხი უახლოეს პერსპექტივას არ უკავშირდება. უფრო მეტიც, აგვისტოს შემდეგ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს თემა იყოს რიგითი ნიუსი, რომელიც საზოგადოებას არ „ეტკინება“. შესაბამისად, რაც არ სტკივა ინდივიდსა და საზოგადოებას, მასზე არც ფიქრობს და არც პრობლემის რანგში განიხილავს. ამდენად, ალასანიასთვის თუ მთავარი თემა ტერიტორიული მთლიანობა უნდა გახდეს, მას მოუწევს ამ თემის გაღვივება.

ამ შემთხვევაში რიგითი ფაქტორი ნამდვილად არაა თავად სეპარატისტების განწყობაც. როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გაკეთებულ კომენტარში სეპარატისტების ერთ-ერთი ლიდერი სერგეი შამბა აცხადებს, აფხაზური მხარე ყოველთვის პოულობდა საერთო ენას ალასანიასთან.

„ეს არის ადამიანი, რომელთანაც საუბარი შეიძლება, ალასანია მეტად კონსტრუქციული პარტნიორია მოლაპარაკებების დროს, ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ და მასთან საერთო ენას ყოველთვის ვპოულობდით“, — განაცხადა შამბამ.



იგივე პოზიცია დაადასტურა შამბას მიმართ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას თავად ალასანიამაც. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება და ამჟამად საზოგადოებისთვის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ისეთივე აქტუალობით არ დგას, როგორც ეს თუნდაც სექტემბერში იყო. ამდენად, სწორი აქცენტის გაკეთება მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

თემა თემად, თუმცა არც ისაა რიგითი ფაქტორი, რომ ალასანიასთვის პოლიტსამზარეულოს დონეზე უცნობია ქართული პოლიტიკური თამაშების წესები, სტილი და ფორმა. ეს გარემოება კი მას არაერთხელ გაუხდის სანანებელს გარკვეულ ძალებთან თუ ინდივიდებთან ურთიერთობას. რასაკვირველია, კონსულტაციების პროცესში მას მოუწევს გარკვეული ულტიმატუმების მოსმენა და დათმობებზე წასვლაც. ნათელია, რომ უმთავრესი შეუთავსებლობა იქნება ბურჯანაძესთან, რადგან ამ ორი პერსონის გარდა ამ ეტაპზე ღიად არავინ აფიქსირებს საკუთარ საპრეზიდენტო ამბიციებს. ასეც რომ არ იყოს, ბურჯანაძის მიმართ ძალიან მგრძნობიარენი არიან „ახლებიც“ და „რესპუბლიკელებიც“. ამის მიუხედავად, დიდი ანალიტიკოსობა არ სჭირდება იმის დასკვნას, რომ მიმდინარე ეტაპზე არც ერთი მათგანი ერთმანეთს თავს ღიად არ დაესხმება, თუმცა ორივე შეეცდება საკუთარ ორბიტაზე რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი ძალა მოაქციოს.

მიმდინარე ეტაპზე ალასანიასა და ბურჯანაძეს ერთმანეთი სჭირდებათ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი ოპონენტის წინააღმდეგ ორივე უნისონში იბრძოლებს. თუმცა იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ ამ მორატორიუმის დასარღვევად მოწინააღმდეგე ძალას და რესურსებს არ დაიშურებს.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლებას ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ალასანიას მიმართ მძაფრი რეაქცია აქვს. როგორც ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, ასეთი რეაქცია იმას ნიშნავს, რომ მათ რთულ მეტოქეებად აღიქვამს.

მისი თქმით, ამ ეტაპზე რთულია ძალთა კონფიგურაციის ვარიანტებზე საუბარი.

„ჯერჯერობით მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, რომელი პარტია ვისთან გაერთიანდება. უცნობია ალასანიას პოზიციაც, ასევე ბუნდოვანია „ახლებისა“ და „რესპუბლიკელების“ ალიანსის მომავალიც, თუმცა ერთი რამ ცხადია — ხელისუფლებას ბურჯანაძისა და ალასანიას მიმართ განსაკუთრებული გაღიზიანება აქვს, რაც სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ მათ სერიოზულ მეტოქეებად აღიქვამს. დღემდე მიხეილ სააკაშვილი უპირატესობით იმიტომ სარგებლობდა, რომ მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა დასავლეთთან. დღეს ბურჯანაძესა და ალასანიასთან მიმართებაში სააკაშვილი ამ უპირატესობას კარგავს“, — განაცხადა საყვარელიძემ.

საპრეზიდენტო „მომავლის“ განსაზღვრისას ხშირად ლაპარაკობენ აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირებაზეც. აშშ-ის ადმინისტრაციის დღევანდელი დამოკიდებულება — იცხოვრეთ როგორც გინდათ, კისერიც გიტეხიათო, დიდხანს ვერ და არ გაგრძელდება. არა იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მისთვის სასურველი პერსონა იხილოს, არამედ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს ბევრს და მრავალი წლებით.

რაც შეეხება რუსეთს, აქ საქმე სხვაგვარადაა, ცალსახად იმის დასაბუთება ნამდვილად გაჭირდება, რომ რუსეთი საქართველოში რომელიმე პოლიტიკურ ძალას აფინანსებს. მაგრამ ირიბი ძმღებებით რუსული ფული რომ ქართულ პოლიტიკაში ტრიალებს, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. შესაბამისად კრემლი არა მხოლოდ ამ ძალებით, არამედ სხვა რესურსებითაც ყოველმხრივ შეეცდება ორივე პერსონაზე არა თუ გასასვლელი, არამედ მათი საკუთარ ორბიტაზე მოსაქცევი მექანიზმები აამოქმედოს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ცდუნება იქნება ტერიტორიული პრობლემის გადაჭრის გარანტიები. რამდენად შეასრულებს მოსკოვი საკუთარ დაპირებებს, არავინ იცის, თუმცა იგი „მომავალი კანდიდატებისთვის“ ამ თემის მიწოდებას შეეცდება. რის საპირწონედ, ეს სხვა საკითხია, თუმცა არა რიგითი და არა უმნიშვნელო. ასევე არის უამრავი სხვა საკითხიც, რაც ამთავითვე გვაფიქრებინებს, რომ რუსეთი მოვლენებში ჩარევას შეეცდება. რამდენად გამოუვა ეს, სწორედ რომ ცდუნების „მსუყე ლუკმაზე“ იქნება დამოკიდებული.

და ისევ ალასანიასა და იმ გუნდზე, რომლის კაპიტნობასაც აპირებს. ქართული საზოგადოება იმდენად მგრძნობიარე გახდა „ფიგურებისა“ და „თემების“ მიმართ, რომ საკმარისია მან ამ ეტაპზე ერთი შეცდომა დაუშვას, რომ მის მიმართაც ითქმება, არ ყოფილა საშველიო... ამიტომ მთავარი მხოლოდ ის კი არ არის, რას იტყვის ალასანია, არამედ ის, ვისთან ერთად ამბობს, რას ამბობს და რას გააკეთებს...

**გოჩა მირცხულავა,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

პოზიცია



# ელენე თევდორაძე: რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა

***რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის „Freedom House“- ის მიერ გამოქვეყნებულ 2009 წლის ანგარიშის შეფასებას საქართველოში ავტორიტარული მმართველობის შესახებ, არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ არჩევნებზე ერთი წლის შემდეგ მომზადებული დასკვნა ნაკლებად სანდოა. „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ელენე თევდორაძეს ესაუბრა.***

**— ქალბატონო ელენე, რა კომენტარს გააკეთებთ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის „Freedom House“- ის მიერ გამოქვეყნებულ, 2009 წლის ახალ გლობალურ ანგარიშზე, რომლის მიხედვითაც, საქართველო არჩევითი დემოკრატიის ქვეყნების რიცხვს გამოეთიშა და ამის ერთ-ერთ მიზეზად მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობა დასახელდა?**

— მიმაჩნია, რომ რევოლუციის შემდეგ დაშვებული იყო ბევრი შეცდომა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ამას მე არასდროს ვმალავდი. ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში ჩემს პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებდი, რაც, სამწუხაროდ, არ აღიქვა იმ ძირითადმა გუნდმა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებდა. ცოტა ადრე, სანამ არჩევნები დაინიშნებოდა, განვაცხადე, რომ პოლიტიკიდან წასვლა მინდოდა, რადგან ახალგაზრდების იმ პოლიტიკურ გუნდს აღარ ვეთანხმებოდი, ვინც, პრინციპში, ქვეყანას მართავდა. მაშინ ვამბობდი, რომ დრო გვაჩვენებდა ვინ იყო მართალი.

დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მართალი აღმოვჩნდი მე და არა ის გუნდი, რომელმაც თავისი შეხედულების გამო, სამწუხაროდ, დიდი გავლენა მოახდინა იმ უარყოფით მოვლენებზე, რაც შემდგომში მოხდა. თქვენ იცით, რომ 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა ძალიან სერიოზული ცვლილება გამოიწვია. შეიძლება არ დავეთანხმო, რომ ჩვენ გვაქვს ავტორიტარული მმართველობა, მაგრამ იმ გამოთქმაში დავეთანხმები, რომ საქართველო ჯერჯერობით ჩამოყალიბებული დემოკრატიული ქვეყანა არ არის.

**— „ფრიიდომ ჰაუსის“ ანგარიშში აღნიშნული იყო ასევე, რომ არჩევითი დემოკრატიის ქვეყნების სიიდან ამოვარდნის ერთ-ერთი მიზეზი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს დაშვებული სერიოზული ხარვეზები იყო, ანუ ამ ორგანიზაციამ ფაქტობრივად არჩევნების გაყალბება დაადასტურა?**

— ძალიან ძნელია, ერთი წლის მერე ილაპარაკო გაყალბებულ არჩევნებზე, რადგან გახსოვთ, არჩევნების შემდეგ შეფასება სხვანაირი იყო. პრაქტიკულად, არავინ აღნიშნავდა იმას, რომ არჩევნები დარღვევით ჩატარდა. პირიქით, იყო გამონათქვამი, სხვა არჩევნებთან შედარებით კონკურენტუნარიანი იყოო. როცა გადის დრო და მერე ჩნდება სხვა დასკვნა, ამ შემთხვევაში ჩემთვის ასეთი დასკვნა ავტორიტეტული ვერ იქნება.

ამ შედეგზე დიდი გავლენა იქონია ჯერ ნოემბრის მოვლენებმა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევამ. ამას დაემატა აგვისტოს მოვლენები და მთლიანობაში, ჩვენ მივიღეთ ის შეფასებები, რაც გვაქვს.

**— ერთი წლის შემდეგ ასეთი დასკვნის გამოქვეყნება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სააკაშვილის ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა?**

—ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. უბრალოდ, ყველაფერი, რაც დარღვევებზე იწერება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, სამიგიდო მასალა უნდა გახდეს, რათა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომლებიც ასახულია ამ დოკუმენტებში.

წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დარგში საკმაოდ გამოცდილი ექსპერტი ვარ. ნამდვილად ვიცი, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის ამოცანა უნდობლობის გამოცხადება არ არის. ასეთი ტიპის დასკვნებით საერთაშორისო ორგანიზაციები ხელისუფლებებს მიუთითებენ იმ ნაკლოვანებების შესახებ, რაც მათ ქვეყნებში ხდება, რათა შემდგომში აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებები.

## დღეს ხვალისთვის

*პრეზიდენტი სააკაშვილი თავის 4-საათიან გამოსვლაში ქართველი მაყურებლის წინაშე გულისამაჩუყებლად ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ქართულ ეკონომიკას არაფერი სჭირს. კი, არის ცალკეული პრობლემები, რომლებიც მსოფლიო კრიზისითაა გამოწვეული, მაგრამ რუსეთთან შედარებით (და თვით სააკაშვილის საყვარელ „ნარინჯისფერ“ უკრაინასთან შედარებით) აქ თურმე მშვენივრადაა საქმე. რუსეთი ინგრევა და იქცევა, გვარწმუნებდა პრეზიდენტი, იქ მალე შიმშილი დაიწყება, ჩვენი კი ავშენდებით. აი სულ მალე შემოვა ამერიკელი და ევროპელი კეთილი ბიძიების დახმარება, დავიკაპიწოთ ხელები და დავიწყოთ ნათელი მომავლის შენება „მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან“ ერთად. „ბარბაროსები“ და „შაჰაბასები“ კი (შაჰ-აბასს სააკაშვილმა პუტინი შეადარა, როგორც ცნობილია) ვერაფერს დაგვაკლებენ!*

# პიარ-საღორეების ეკონომიკა



ეგ კი არა, სააკაშვილმა ინოვაციური იდეებიც წამოაყენა. მაგალითად, საქართველოს გადაქცევა ორგანული და ბიოლოგიურად სუფთა სასოფლო პროდუქციის წარმოების ცენტრად, სადაც არ დაიშვება გენმოდიფიცირებული პროდუქტები და მსგავსი „ქიმია“. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა შეიცოდა კიდეც ზოგიერთი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი, ასევე მისი საყვარელი „ნარინჯისფერი“ უკრაინა. ამ ქვეყნებში, თურმე, ტრანსნაციონალური კომპანიები მბრძანებლობენ და იქაურობა „საშინელ დღეში“ ჩააგდეს. აქ ერთი კითხვა ჩნდება: მაშინ რატომ მიათრევს დღევანდელი ხელისუფლება ასე დაჟინებით ქვეყანას ევროკავშირში, თუკი იქ „ბოროტი“ ტრანსნაციონალური გიგანტები მძვინვარებენ და გაგვინადგურებენ ჩვენს ეკოლოგიურად ასე თუ ისე სუფთა, ჯერ კიდევ გემოშერჩენილ სასოფლო პროდუქციას?

მაგრამ სააკაშვილის რიტორიკის სერიოზულად აღქმა საკმაოდ რთულია. დღევანდელ საქართველოში ორგანული და ეკოლოგიური მეურნეობების რაიმე განვითარებაზე საუბარი შეუძლებელია, რადგან ქვეყანაში კომპრადორული რეჟიმი არსებობს. თუნდაც იმიტომ არ მოხდება ეს განვითარება, რომ ამაში არავინ არის დაინტერესებული, ჩვენი საზღვარგარეთელი სპონსორების ჩათვლით. ისინი კი რეალურად წყვეტენ ყველაფერს. თავად სააკაშვილს წამოსცდა (ამ ბოლო დროს ხშირად ემართება ესძ, რომ საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირების პოლიტიკა ქვეყნის ფარგლებს გარეთ დგინდება. ამაზე მან გაკვრით ისაუბრა, როცა უპასუხებდა კითხვას, თუ რატომ იდება ამდენი ფული უცხოური დახმარებებიდან მხოლოდ საგზაო მშენებლობაში და არა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში. ეს გასაგებიცაა, თუ შევხედავთ საბანკო სექტორის სტრუქტურას საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში არათუ არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო კომერციული ბანკი, არამედ, ერთის გამოკლებით, ყველა კერძო კომერციული ბანკი უცხოური კაპიტალის მიერ კონტროლდება.

საბანკო სისტემის გარეშე კი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებს, ეკონომიკის სტრატეგიულად სწორი მიმართულებით განვითარებაზე საუბარი ზედმეტია. ამჟამინდელი საბანკო სისტემა საქართველოში კიდევ უფრო კომპრადორულია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება. ფართოდ რეკლამირებული საბანკო „გიგანტი“ – საქართველოს ბანკი, რომელმაც დასავლეთიდან სპეკულაციური კაპიტალი მოიზიდა და აქციების ფასი 2007 წლის ზაფხულში 42 დოლარამდე ააგდო, დღეს ათასობით თანამშრომელს ამცირებს და კრედიტების გაცემა პრაქტიკულად შეაჩერა. მანამდეც, რა კრედიტებიც გაიცემოდა, ხმარდებოდა მხოლოდ მოხმარების ზრდას იმპორტირებული საქონლის ხარჯზე. რა არის გამოსავალი? სრულიად ნათელია, რომ საჭიროა წახალისდეს ქართული კაპიტალის მქონე ბანკების აღმოცენება და შეიქმნას 2-3 სახელმწიფო კომერციული ბანკი, მათ შორის ისეთიც, რომელიც სპეციალიზდება სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაზე.

დავუბრუნდეთ სოფლის მეურნეობას. მთავარია, არა მარტო გადაწყდეს იმ ნიშის პრობლემა, რომელსაც დაიკავებს ქართული აგროპროდუქცია უცხოურ ბაზრებზე (აქ კი ძნელია სააკაშვილს არ დაეთანხმოძ და აგრარული წარმოების დაკრედიტების საკითხი, არამედ სასოფლო მეურნეობების ფორმის და მიწაზე საკუთრების საკითხები. ამის გარეშე არაფერი გამოვა. ბოლო ორი ათწლეულის გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ წვრილი კერძო მეურნეობები კონკურენტუნარონი არიან და გადაიქცნენ არაეფექტიან ნატურალურ წარმოებებად. არადა, სწორედ ამგვარ წვრილ კერძო მეურნეობებზე, რომლებიც ფლობენ 0,5-1 ჰა მიწას, კეთდებოდა აქცენტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში.

ამ სიტუაციიდან ორი გამოსავალია – აქ განვითარების ე.წ. ამერიკული გზა, ანუ წვრილი გლეხური მეურნეობების გაკოტრება და მათ ნაცვლად მსხვილი ფერმების ჩამოყალიბება და ბძ ქართული ტრადიციული სასოფლო თემის შენარჩუნება, მის ბაზაზე კი მსხვილი მეურნეობების – კოოპერატივების, აგროფირმების და ა.შ. შექმნა. ჩვენი აზრით, სრულიად ცხადია, რომ „ამერიკული“ გზა მიუღებელია, რადგან ის შეუთავსებელია ქართული სოფლის მოსახლეობის ასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ თავისებურებებთან და ტრადიციებთან და გამოიწვევს სოფლების ნგრევას, რომელთაგან ბევრს საუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები აქვს. ამავე დროს, მსხვილი ფერმების წარმოქმნა ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის განსაკუთრებით მასობრივ გადინებას ქალაქებში, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელნი, განსაკუთრებით თბილისი, ისედაც გადატვირთულია, უმეტესობა ამ მოსახლეობისა აღმოჩნდება საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე, გასტარბაიტერების არცთუ სახარბიელო როლში.

ამავე დროს, სასოფლო თემის და ქართული სოფლის სტრუქტურის შენარჩუნება და მის ბაზაზე მსხვილი მეურნეობების შექმნა (მაგრამ არა სოციალისტური ტიპის, ანუ კოლმეურნეობების, არამედ საბაზრო ეკონომიკის კანონების მიხედვითძ მოგვცემს საშუალება გადავჭრათ როგორც წვრილი მწარმოებლების არაეფექტიანობის, ისევე დემოგრაფიული პოტენციალის გაძლიერების პრობლემა და შევინარჩუნოთ მრავალი კულტურულ-ისტორიული თავისებურება. ქართული სოფელი კი ყოველთვის იყო ქვეყნის საქირკვეელი და ხერხემალი. ცალკე განხილვას საჭიროებს „ეკოლოგიური სოფლის“ იდეა, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც სოფლის ტრადიციულ, ნაწილობრივ მოდერნიზებულ სტრუქტურას, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქციის წარმოებას. სწორედ მსხვილ კოოპერატიულ ან სათემო მეურნეობებს შეუძლიათ უზრუნველყონ სასაქონლო და საექსპორტო-ელიტარული პროდუქციის წარმოება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მოწესრიგდება რუსეთთან ურთიერთობა და გაიხსნება ქართული აგრარული ექსპორტისთვის მთავარი რუსული ბაზარი. მაგრამ მსხვილი მეურნეობის განვითარებისთვის საჭიროა საბანკო დაკრედიტება, რომელიც უნდა განახორციელოს პირველ რიგში სახელმწიფო სპეციალიზებულმა ბანკმა ან ბანკებმა, არა იმდენად სწრაფი მოგების მიღების მოლოდინში, არამედ გრძელვადიანი ეკონომიკური და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

შეუძლია თუ არა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუნდაც საფუძველი ჩაუყაროს საბანკო სექტორის სტრატეგიულად სწორ განვითარებას და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას? თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა, რადგან ამ ხელისუფლების იდეოლოგიური ორიენტირები ამასთან შეუთავსებელია. ეს წარმოდგენები არ ითვალისწინებს ქვეყნის სუვერენიტეტს, არამედ მხოლოდ მის ნაძალადევ შეთრევას ევროკავშირში, ან, თუ ეს არ გამოვიდა, ქვეყნის გადაქცევას ამერიკის ნახევარკოლონიად. ამ პირობებში კი პროპაგანდისტული ხმაური, თითქოს საქართველო გახდება ეკოლოგიური და ბიოპროდუქციის წარმოების „კუნძული“, დარჩება მხოლოდ ხელისუფლების პიარად, ისევე როგორც მინისტრების და თვით პრეზიდენტის მიერ, ტელეკამერების თანხლებით, ცალკეული გადამამუშავებელი საწარმოების სარეკლამო მონახულება, რის შემდეგაც ბევრი მათგანი რატომღაც მუშაობას წყვეტს ხოლმე...

**გიორგი ვეკუა**

## ვითარება

# არ შეიძლება ოპოზიციის სისუსტეს ან სიძლიერეს ხელისუფლება განსაზღვრავდეს

## ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არჩევნები დაიწყო?

**არ წყდება ხელისუფლების უმაღლესი პირებისა და ოპოზიციური პარტიების ლიდერების ურთიერთქილიკი. ყველას კარგად გვახსოვს, რა დამცინავად განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, ოპოზიციას ტენდერი აქვს გამოცხადებული ლიდერზეო.**

მალე მას უმრავლესობის ლიდერმა პავლე კუბლაშვილმაც მიბაძა, პარტიების რაოდენობა მის ლიდერებზე მეტიაო. მერე დასძინა, მთავარია ეკონომიკური პრობლემები, დასაქმება და ის საკითხები, რომელიც მოსახლეობას დღეს ყველაზე მეტად აწუხებს, პარტიები კი ამას გვერდს უვლიან და მხოლოდ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით მანიპულირებენო.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა იოსებ შატბერაშვილმა გაიკვირვა, ლიდერის მაძიებელი რომელი ოპოზიციური პარტია იგულისხმა მიხეილ სააკაშვილმაო, ვერ მივხვდიო: „ლეიბორისტულ პარტიას არასოდეს უძებნია ლიდერი. მას ჰყავს ლიდერი შალვა ნათელაშვილი და გუნდი, რომელიც თავისთავად პარტიის ლიდერია“.

შატბერაშვილს უმართებულოდ მიაჩნია ზოგადად, გაერთიანებული ოპოზიციისთვის ერთი ლიდერის ძებნა, ყველა ოპოზიციურ პარტიას ერთი ლიდერი და კერპი ჰყავდეს.

„თუ ლეიბორისტული პარტია პარლამენტში უმრავლესობით მოვა, მთავრობა ერთპარტიული კი არ იქნება, როგორც ეს მოქკავშირმა და ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთეს თავის დროზე, რამაც საქართველო დაღუპა, არამედ ყველას შევთავაზებთ კოალიციურ მთავრობას და კოლექტიურ მმართველობას“, – განაცხადა შატბერაშვილმა.

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ქალბატონმა მანანა ნაჭყებიამ გვითხრა, რომ პრეზიდენტის ნაგულისხმევი „ტენდერის გამოცხადება“ არ შეესაბამება სინამდვილეს, ოპოზიციას საკმარისად ჰყავს ლიდერები, რათა ნებისმიერ სიტუაციაში ხალხი აიყოლიონ, ანუ რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატიდან ერთ-ერთი სასურველი კანდიდატი აირჩიონ. „ეს მიხეილ სააკაშვილს ჰგონია, რომ აუცილებლად ერთი კანდიდატი უნდა ჰყავდეს ოპოზიციას, და ეს მიაჩნია დემოკრატიად“, – განმარტა მანანა ნაჭყებიამ.

ამ საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ პოლიტოლოგ **ჯიმი ჯალიაშვილს:**

– პრეზიდენტმა ცოტა ცინიკურად განაცხადა ტენდერის თაობაზე: ვფიქრობ, საკუთარი ქვეყნის ოპოზიციის ასეთი გაუფასურების მცდელობა საპრეზიდენტო დონეს არ უპასუხებს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლება უნდა ცდილობდეს ძლიერი, იდეოლოგიურად ჩამოყალიბებული და სავსებით სრულყოფილი ოპოზიციური პარტიების შექმნას.

თუ ასე არ აღიქმება სიტუაცია, მაშინ ჩვენ ვერ მივიღებთ გადაწყვეტილებების სერიოზულ ალტერნატიულ ვარიანტებს. ამიტომ მოსალოდნელი იქნება სერიოზული შეცდომები.

უფრო მეტიც, იმას რომ თავი დავანებოთ, თუ რა სარგებელი მოაქვს ძლიერ ოპოზიციას ხელისუფლებისთვის, არსებობს წმინდა ეთიკური მხარე. არ შეიძლება, ოპოზიციის სისუსტეს ან სიძლიერეს ხელისუფლება განსაზღვრავდეს.

თუკი ოპოზიციამ გაიმარჯვა, ეს ხომ საზოგადოების მხარდაჭერით მოხდება. ამიტომ ახლა ვიმოქმედოთ და ზემოქმედება მოვახდინოთ ოპოზიციაზე, ნიშნავს, რომ არჩევნები დაიწყო. და თუ ეს ასე არ არის ოფიციალურად, მაშინ თვით ხელისუფლებას მართებს პოლიტიკური კულტურის ამაღლება.

ახალი არ არის ის, რომ ხელისუფლება მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გარკვეულ ფასეულობებს უნერგავს. ამიტომ პირველი პირის განცხადებები არა მარტო გამარჯვებიდან გამომდინარე უნდა კეთდებოდეს, არამედ იმ კულტურის დამკვიდრებისთვის, რომელიც ქართველ ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს.

ნამდვილად სასურველია, უფრო ძლიერი და უკეთესი ოპოზიცია გვყავდეს, მაგრამ რეალობა სხვა არის და ამ რეალობაშიც უნდა ვეცადოთ ცივილიზებული ფორმით ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეჯიბრებას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. არ ვიცი, მოვესწრები თუ არა იმას, ერთი კანდიდატის წაგებისა და მეორის გამარჯვების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს მიულოცავენ ქვეყნის გამარჯვებას.

თითქოს ლექსიკას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მიანიშნებს პოლიტიკური პროცესების არასწორ გაგებას – როდესაც ამჟამინდელ ხელისუფლებას, წარსული ხელისუფლების მსგავსად, მიაჩნია, რომ არსებობს დაყოფილი საქართველო: ერთ მხარეზეა ხელისუფლება და მისი მომხრეები, მეორე მხარეს კი – ოპოზიციის მხარდამჭერები. ასეთი მიდგომა არ გვაძლევს სამოქალაქო სტაბილურობის საშუალებას.

**– როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტს ეშინია ოპოზიციური პარტიების ლიდერებისა?**

– რა თქმა უნდა, შიში ვლინდება. დარწმუნებული ვარ, მას საკმაოდ აშინებს საპრეზიდენტო არჩევნები. ამიტომ უმჯობესია ურთიერთკილვის მაგივრად ორივე მხარემ წარმოადგინოს კონკრეტული პოლიტიკური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ხალხი გადაწყვეტილებას მიიღებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

პასუხად რუსტემ ვახიტოვს

# შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე...

ჯავის რაიონში პირველი ოსური ოჯახის ჩამოსახლება დოკუმენტურადაა დათარიღებული XVII საუკუნის შუა ხანებით. როსტომ მეფის (1633-1658 წწ.) განჩინებით მეფის მოხელეებს ებრძანათ დახმარებოდნენ სოფელ როკაში (ჯავის ჩრდილოეთით) ჩამოსახლებულ ოსურ ოჯახს, და ასევე იმათაც, ვინც მომავალში გამოთქვამდა ჩამოსახლების სურვილს (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, დოკუმენტი №1448-10325). რაც შეეხება თავად ჯავას, იმ დროს ოსები იქ არ ცხოვრობდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ მას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. Hd1959) ყოფილი სოაო-ს მთიან ნაწილში, დიდი და მცირე ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის სათავეებთან ოსური სოფლების გაჩენას XVII საუკუნით ათარიღებს ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756 წწ.). დაახლოებით ამავე პერიოდით ათარიღებს ოსების ჩამოსახლებას მდ. ქსნის ხეობაში ცნობილი ოსი მეცნიერი, აკად. ვ.აბაევი (ვ.ი. აბაევი, ოსური ენა და ფოლკლორი, მ. 1959, გვ. 501). გერმანელი მეცნიერების, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი.გულდენშტედტის (1772 წ.) და ე.აიხვალდის (XIX ს-ის I ნახ.) ცნობათა თანახმად, ოსები ლიახვის ზემო წელზე, ცხინვალის იქით, მთებში ცხოვრობენ.

XVII-XIX სს-ის რუკებზე, რომლებიც შედგენილია რუსებისა და უცხოელების მიერ, ოსეთი დაფიქსირებულია მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში (ფრანგი გეოგრაფი დე ვიტი, XVII ს. II ნახ.; ფრანგი გეოგრაფის ჟ.ნ. დე ლილის მიერ ვენეციაში 1775 წ. გამოცემული რუკა; რუსი პოლკოვნიკის ს.ბურნაშოვის მიერ 1784 წელს შედგენილი რუკა, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის 1801 წ. რუკა). როგორც ამ რუკების, ისე 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, შიდა ქართლი მთლიანად (მათ შორის მომავალი სოაო-ს ტერიტორიაც) ქართული სამეფოს ნაწილია.

დოკუმენტებმა შემოგვინახეს საქართველოში ოსების ხელოვნური ზრდის ფაქტები. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მოსახლეობის აღწერის დოკუმენტებში (1802 წ.) ყოფილი სოაო-ს ტერიტორიაზე იყო კომპაქტურად ოსებით დასახლებული 11, ხოლო ერთობლივად ოსებით და ქართველებით დასახლებული 15 სოფელი (სოაო-ს ოთხ რაიონში დაახლოებით 500 სოფელია), ამავე აღწერის მონაცემებით, ჯავაში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, ახალგორში – ქართველები და სომხები, ცხინვალში – ქართველები, სომხები და ებრაელები (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, I, თბილისი, 1866, გვ. 446-470).

1886 წლის მოსახლეობის აღწერით ცხინვალში ოსები არ ცხოვრობენ (სტატისტიკურ მონაცემთა კრებული).

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მონაცემებით, 1860-1880 წლებში საქართველოში ოსი მოსახლეობა 19 ათასიდან 52 ათასამდე გაიზარდა.

1989 წ. მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ოსების რაოდენობა ცხინვალში 1922 წ-დან (სოაო-ს დედაქალაქად გამოცხადებიდან) 613-დან გაიზარდა 31537-მდე. კომენტარები ზედმეტია.

როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.) 1922 წ. შეიქმნა სოაო, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ სამშობლოში არავითარი ოსური ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა, ასეთი (რესპუბლიკა) შეიქმნა მხოლოდ 1924 წელს, მიზანი – შეექმნათ მითი „ერის გაყოფის" შესახებ.

1990 წლის 20 სექტემბერს ცხინვალის ხელისუფლებამ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ" და „ავტონომიური ოლქის სამხრეთ-ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ", რისი იურიდიული უფლებაც არ გააჩნდათ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა აღნიშნული დადგენილება, 11 დეკემბერს კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი. დაიწყო კონფლიქტი.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზეთის ფრაქციამ (აფსნი) პროცესუალური ნორმებისა და რეგლამენტის სრული დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაზე უარის თქმისა და აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის (რომელიც არ გამოქვეყნებულა და იურიდიული ძალა არ ჰქონდა) აღდგენის შესახებ, რაც ფაქტობრივად საქართველოს რესპუბლიკიდან გამოსვლას, ე.ი. რეგიონულ პოლიტიკურ გადატრიალებას ნიშნავდა. 25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ეს დადგენილება გამოაცხადა უკანონოდ. შეიქმნა კონფლიქტის წინაპირობები.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აფხაზები (აფსუა) და ოსები საქართველოს წინააღმდეგ მაშინ იწყებდნენ გამოსვლას, როდესაც იგი დამოუკიდებლობას აცხადებდა (1921 წ., 1990 წ.).

ბ-ნი ვახიტოვი საყვედურობს ქართველებს, რომ ისინი აწარმოებდნენ არა მხოლოდ მეგრელების, სვანებისა და სხვა ქართველური ეთნოსების გაქართველების პოლიტიკას, არამედ „1940-იან წლებში თბილისის ცეკას ბრძანებით აფხაზებსა და ოსებს ეკრძალებოდათ ჰქონოდათ ეროვნული სკოლები". ბ-ნმა ვახიტოვმა რაღაც იცის ყურმოკრულად (ან სპეციალურად ჩქმალავს). ისტორიკოსმა რ.ვახიტოვმა წესით უნდა იცოდეს, რომ ასეთი სახის დადგენილებების მიღება რესპუბლიკის ხელისუფლებას არ შეეძლო, ყველაფერი „ზევიდან" უნდა ყოფილიყო სანქცირებული. თანაც ამ ფაქტთან დაკავშირებით არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დადგენილება განსაკუთრებული ეროვნული სკოლების ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებად გარდაქმნისა და სწავლის შემოღების შესახებ შესაბამისი რესპუბლიკის, ან რუსულ ენაზე. ასე რომ, რეფორმა, რომელიც განხორციელდა აფხაზეთის (აფსნი) ავტონომიურ რესპუბლიკაში, 7 წლის დაგვიანებით, იყო მოსკოვის დირექტივის შედეგი, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობდა. ამ ღონისძიების დაგვიანებით განხორციელება გამოწვეული იყო საქართველოს სამთავრობო წრეების ფრთხილი დამოკიდებულებით მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების გამო; მას შემდეგ, რაც აფხაზეთის საოლქო კომიტეტი იძულებული გახდა, მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე (13.03.1945), იგი დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. მოსკოვში, ცენტრალური კომიტეტის აპარატში გაიგზავნა პროტესტი აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლების ხელმოწერით და დადგენილება გააუქმეს. მიზანი მიღწეულია, ქართველები ავიწროვებენ აფხაზებს (აფსუებს), სსრ კავშირის ცენტრალური მთავრობა კი იცავს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება აფსუას ენაზე წარმოებდა მხოლოდ 1-4 კლასებში, 5-10 კლასებში კი – რუსულ ენაზე, რაც მიზნად ისახავდა აფხაზების გარუსებას.



ბ-ნი ვახიტოვი აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ „ქართველი ნაციონალისტები" თავიანთ უბოროტეს მტრად მიიჩნევენ რუსეთის იმპერიას – როგორც მეფის რუსეთის, ისე ბოლშევიკებისა, რუსებს უწოდებენ კოლონიზატორებს, რომლებმაც, თითქოს, მოახდინეს „ქართული მიწის" ოკუპაცია და ასეული წლების განმავლობაში ჩაგრავენ „მშვიდობიან ქართველ ერს".

იგი უარყოფს რუსეთის მიერ საქართველოს ორგზის ანექსიის ფაქტს (XIX ს-ის დასაწ. და 1921 წ.) და მთლიანად ეყრდნობა კომუნისტური იდეოლოგიის დოქტრინას. ამ საკითხებზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე, მაგრამ შემოვიფარგლებით მხოლოდ ცნობილი იტალიელი მეცნიერის ლუიჯი მაგაროტის ნაშრომის დასახელებით – „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ", რაც აშკარად მიუთითებს ავტორის პოზიციაზე (წიგნი 2004 წ. გამოიცა იტალიაში). ნუთუ არ დადგა დრო, უარი ვთქვათ მითზე „კეთილი დედა რუსეთის" შესახებ, რომლის შემადგენლობაში შესვლაც, საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმების სანაცვლოდაც კი, თურმე ყველას ოცნება იყო.

საქართველოში მეფის ხელისუფლებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; აიკრძალა სწავლება მშობლიურ ენაზე, დაიწყო რუსიფიკაცია. ამას მოჰყვა აჯანყებები, შეთქმულებები როგორც მეფის რუსეთის, ისე შემდგომ ბოლშევიკურ ხელისუფლების წინააღმდეგ, ყველა მცდელობა მარცხით მთავრდებოდა. საქართველომ დამოუკიდებლობა პირველად მხოლოდ მეფის თვითმპყრობელობის დაცემის შემდეგ მიიღო (1918 წლის მაისი – 1921 წლის თებერვალი). ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წლის თებერვალი) საქართველო დამოუკიდებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს დაშლის შედეგად.

ნუთუ საჭიროა, შევახსენოთ ბ-ნ ვახიტოვს, ისტორიკოსს, რომ ერისთვის სახელმწიფოებრიობის დაკარგვაზე უფრო დიდი ტრაგედია არ არსებობს. ან იქნებ იმის შეხსენებაც სჭირდება, თუ რა ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს (ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობას) კომუნისტური რეჟიმის მიერ გატარებულმა რეპრესიებმა?!

ვფიქრობთ, ცალკე უნდა აღინიშნოს ტერმინების „სამხრეთ ოსეთი" და „ჩრდილოეთ ოსეთი" მიზანდასახულად შემოტანის საკითხი. პირველად მათი ხმარების ფაქტი დაფიქსირებულია რუს ჩინოვნიკთა დოკუმენტებში 1830 წ-დან. დროთა განმავლობაში ამ ტერმინებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და შექმნეს წინაპირობა „ხალხის გაყოფის" მითის დამკვიდრებისთვის.

როგორც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, აქაც საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ წერილის ფორმატიდან გამომდინარე და ასევე ბ-ნ ვახიტოვისთვის საქმის გასამართლებლად მივუთითებთ მხოლოდ სტატიების კრებულს რუსულ ენაზე „ოსთა საკითხი" (1994 წ.), სადაც ყველა კითხვაზე გაცემულია პასუხი და სათანადო ლიტერატურაცაა დასახელებული.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ცნობილი ოსი მეცნიერის, აკადემიკოს ვ.აბაევის სიტყვები: „მინდა გამოვიჩინო ობიექტურობა და თვალი გავადევნო, ხომ არ ყოფილა ოსეთის მხრიდანაც რაიმე ნაჩქარევი მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს დაპირისპირების პროვოცირება. და უნდა ვაღიარო, რომ ასეთი მოქმედებანი იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება მხოლოდ მოსკოვზე ორიენტაციით, სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანების პერსპექტივით. სამხრეთელი ოსების სწრაფვა თავიანთი ჩრდილოელი თვისტომებისკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის წარეცხვის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ ურთიერთობა ორ ხალხს შორის დავაბრუნოთ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში, საჭიროა უწინარეს ყოვლისა დავამთავროთ საუბრები სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ. არც ერთი ქართული მთავრობა არასოდეს ამას არ დაეთანხმება და მართალიც იქნება, ვინაიდან ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ვისაც სურს მშვიდობა ოსებსა და ქართველებს შორის, სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. იმანაც, ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, უნდა მიატოვოს ეს იდეა. ასეთია რეალობა" (ვ.აბაევი. სამხრეთ ოსეთის ტრაგედია: გზა თანხმობისკენ. „ნეზავისიმაია გაზეტა", 1992 წლის 22 იანვარი, №3).

ალბათ, ბ-ნ ვახიტოვისთვის არაა ცნობილი, რომ აფხაზეთიდან გამოდევნეს 250 ათასი ეთნიკური ქართველი, ამ ოლქის აბორიგენი, რომ 1992 წლამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 41 პროცენტს შეადგენდნენ ქართველები და 17 პროცენტს აფსუები, რომ დღევანდელი სეპარატისტული ხელისუფლება არც კი განიხილავს საკითხს 50-60-ათასზე მეტი ქართველის დაბრუნების შესახებ აფხაზეთში, საკუთარ სამშობლოში, რათა ქართველთა რიცხობრივმა უპირატესობამ აფსუებს მომავალში არ შეუქმნას პრობლემები. ბ-ნმა ვახიტოვმა არ იცის ისიც, რომ გალის რაიონში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ მხოლოდ ეთნიკური ქართველები. ეტყობა, მისთვის უცნობია ისიც, რომ კოდორის ხეობაში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, კერძოდ სვანები და მისი სტატიის გამოქვეყნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია სამხედრო ოპერაციებს, ისინი გამოდევნეს იმ ადგილებიდან, სადაც არასოდეს არავითარ აფსუას არ უცხოვრია.

იგივე უნდა ითქვას იმ ქართულ სოფლებზეც, რომლებიც ცხინვალის რეგიონს ესაზღვრებიან, ახალგორის რაიონზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი სოაო-ს შემადგენლობაში იყო (რატომ?), ძირითადად დასახლებული იყო ქართველებით და სადაც სამხედრო ოპერაციებს ადგილი არ ჰქონიათ და არ ყოფილა არავითარი დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროსაც კი.

გაურკვეველია, რატომაა ასე მტრულად განწყობილი ბ-ნი ვახიტოვი ქართველების წინააღმდეგ.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მის მიერ წამოყენებული ბრალდებები ფაქტებით არ დასტურდება.

**მარიკა ლორთქიფანიძე,**
აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
**გიორგი ოთხმეზური,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*P. S. გვსურს აღვნიშნოთ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტა" პირველად არ აქვეყნებს ქართველებისადმი მტრულად განწყობილ სტატიას (იხ. „ლიტერატურნაია გაზეტა", 2002, VII, 16, №№ 28-29, ა.როსლიაკოვი, „გამარჯობა, აფხაზეთო"; პასუხი იხ. „სვობოდნაია გრუზია", 2002, IX.20, მ.ლორთქიფანიძე, ე. ხოშტარია-ბროსე, „აფხაზეთი: წარსული, აწმყო და მომავალი ა.როსლიაკოვის წარმოდგენით".*

*P. P. S. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქე ყველა არაქართველი ადგილობრივ მოსახლედ ითვლება. მათ საქართველოში ცხოვრების კანონიერი უფლება აქვთ და ამასთანავე კულტურული თვითგამორკვევის, საკუთარი ტრადიციების დაცვისა და განვითარების, საკუთარ ენაზე სწავლების და ა.შ. უფლება და შესაძლებლობა. ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად ისინი ვალდებულნი არიან ფლობდნენ სახელმწიფო ენას – ქართულს. ერთადერთი რისი უფლებაც მათ არა აქვთ – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა. ყველას უნდა ესმოდეს, მათ შორის ისტორიკოსს რ.ვახიტოვსაც, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და საქართველოს იურისდიქციიდან ამ ნაწილის გასვლას, ქართველი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება.*

***მ. ლ. და გ. ო.***

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-16.

განსჯა

# მითხარი, ვინ გაფინანსებს და გეტყვი, ვინ ხარ შენ



ამ დახმარების შედეგად არაფერი არ უნდა შეცვლილიყო ხალხის სოციალურ ყოფაში? ყველაფერი, ხარჯვა თუ რეფორმების მიმართულება, ხომ დასავლეთის კონტროლ-რეკომენდაციებით წარმოებდა? უცხოურ კრედიტებს კიდევ ხომ მთელი საქართველოს გაყიდვით შემოსული თანხა და საქართველოდან წასული მოქალაქეების მიერ ყოველწლიურად გადმორიცხული ერთი მილიარდი დოლარიც ემატებოდა და ემატება („ქეშად“ შემოტანილი კიდევ სხვაა!ძ, და მილიონნახევრამდე მჭამელი პირიც, ქვეყნიდან გასულების სახით, ხომ მოაკლდა სახელმწიფოს საზრუნავად? წარმოდგენაც კი ძნელია, რა მოხდება ერთ დღეს ფულის გადმოგზავნა რომ შეწყდეს და ყველანი უკან დაბრუნდნენ, როგორც ეპატიჟებოდნენ!

როგორ გგონიათ, კრედიტების მომცემმა „დამხმარემ“ არ იცის რაზე იხარჯება და სად, ვის ჯიბეში მიდის თანხის დიდი ნაწილი? მაგრამ ეს მას არ ანაღვლებს, რადგანაც მისი მიზანი არა ქვეყნის ფეხზე დაყენება, არამედ ისეთი ტიპის ადამიანების გამოყვანაა, რომლებიც დასავლეთის მითითებით მოახდენენ ქართველების (სხვა სახელმწიფოში – სხვა ერისძ ცნობიერებაში ეროვნული სულის – ენის, ეროვნულობის, რწმენის, პატრიოტიზმის, ისტორიის, უფროსებისადმი პატივისცემის და, საერთოდ, ტრადიციების , ქართული მიწის სიყვარულის ჩაკვლას და სანაცვლოდ ამისა თავისუფლების იარლიყით ყოველგვარი სისაძაგლის – გარყვნილების, ბოზობის (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაცძ, სატანისტური სექტების დამკვიდრებას, სხვის ხელებში შემყურე, ხელზე მომსახურე ქართველი კაცის გამოზრდას.

არავინ არ კითხულობს, თუ რატომ ახარჯავენ მილიონებს სოკოსავით მომრავლებულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს და ნოდია-დარჩიაშვილ-რამიშვილისნაირების მთელ არმიას. განა ისეთს, განსაკუთრებულს, რას აკეთებენ, რომ სოროსს და მისთანებს საკუთარი მილიონები არ ენანებათ? ეს რომ ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის იყოს გამიზნული, მაშინ ხუთ წელიწადში კი არა, ხუთ თვეში დაინახავდნენ რა დემოკრატიაც შენდება, ფულიც სად მიდის, და რა შენდება საერთოდ! აი, აქ არის პასუხიც – სწორედ იმიტომ აფინანსებენ ხელისუფლებასაც და ორგანიზაციებს, რომ რაც და როგორც შენდება, მათ სავსებით აკმაყოფილებთ. ასე რომ არ იყოს, ვინ სულელი გადაყრის მილიონებს თავისი ჯიბიდან ვილაც კავკასიელების ჯიბეში. საქმეც (უბედურებაცძ ის არის, რომ ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. სცენარს ხომ ფულის მომცემი წერს!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი (და არც სხვისიძ ეკონომიკურად ფეხზე დაყენება არავის ფიქრადაც არა აქვს, არც ამერიკას და არც რუსეთს. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ხომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილს ბადებს ყველაში, რაც პოტენციური პრობლემების შემცველია. ჩვენზე მხოლოდ მაშინ იზრუნებს ან ერთი და ან მეორე, თუ ამერიკის ერთ-ერთი შტატი გავხდებით, რაც გეოგრაფიულად გამორიცხულია, ანდა – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, რაც 200 წელი გრძელდებოდა, და არც მომავალშია გამორიცხული, საკუთარი ნებით ან ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ.

კრედიტების სახით გამოყოფილმა მილიონებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს – ეს „შეღავათიანი სესხები“ შეფარულად ჩვენს დაკაბალებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე – აღორძინებას, რადგანაც არც მისი ჩვენს ნებაზე განკარგვის უფლება გვაქვს და გასტუმრებითაც, ამ 20–30–50–წლიან სესხებს და ვალდებულებებს, პრაქტიკულად, ვერასოდეს ვერ გავისტუმრებთ. დღეს სიტყვა „მევახშეობა“ არსად არ იხმარება. რა მოხდა, მევახშეობა გადავარდა, აღარ არსებობს? თუ ჰყვავის, სწორედ დღეს ყვავის მევახშეობა, თანაც საერთაშორისო, სახელმწიფოებრივ დონეზე. უბრალოდ, მას „დემოკრატიის“ მანტია მოასხეს, კარგი „მეიკ-აპი“ გაუკეთეს, ანუ ბლომად ფერუმარილი წასცხეს, საუკუნეების მანძილზე კომპრომეტირებული სახელი შეუცვალეს და მევახშეობის ნაცვლად გაჭირვებაში მყოფთათვის დახმარება დაარქვეს. ეს ისეთი დახმარებაა, როდესაც მევახშეს, უკაცრავად, დამხმარეს, წინასწარ გაანგარიშებული მრავალწლიანი მოგება გარანტირებული აქვს. საქმე ის არის, რომ ძველი დროისგან განსხვავებით, როცა ვალის დაბრუნება ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, ახლა ეს აკრძალულია, „საერთაშორისო მევახშეებმა“ სესხების მექანიზმიც დახვეწეს – რამდენწლიანიცაა სესხი, იმდენ წელს უნდა იხადო პროცენტები, თუნდაც ვალის გასტუმრება დღესვე შეგეძლოს. ამას ემატება ისიც, რომ ასეთ სესხსაც კი სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ ვერ ხარჯავს – ყველა სესხს თან ახლავს აუცილებლად შესასრულებელი პირობა, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული – საწარმოებს შენს ჭკუაზე ვერ შექმნი, ანკესებს ვერ შეიძენ – გინდა თუ არა თევზი უნდა იყიდო, თანაც მხოლოდ მათგან, რეფორმებიც მათი მითითებით უნდა გატარდეს და მათგან მოვლენილ კონსულტანტებსაც სოლიდური ჰონორარები, გინდა თუ არ გინდა, მოცემული სესხიდან უნდა გადავუხადოთ. ერთი დაუწერელი პირობაც ახლავს: თუ ჩვენ რეკომენდაციებს პირნათლად შეასრულებთ, მაშინ , ამ თანხის კარგა მოზრდილი ნაწილი, შეგიძლიათ, „ლევადაც“ გაუშვათ, ჩვენ თვალებს დავხუჭავთო. სრულიად უანგაროდაც რომ გვეხმარებიან და მილიონებსაც გვჩუქნიან, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ათმაგს და მეტსაც მარტო პროცენტებით რომ გვწურავენ, ესეც ფაქტია.

ისე, ერთი კითხვა სულ სხვა სფეროდან გიჩნდება კაცს: „ტუმბოჩკიდან“ იღებენ მილიარდებს ეს მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, პარიზის კლუბი და ამათი მამიდაშვილ-ბიძაშვილები, თუ ფულის საბეჭდი საკუთარი დაზგა აქვთ? ვინ არიან ისინი – მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ხომ ამათი უზარმაზარი ვალი აქვს? ერთადერთი სახელმწიფო ჩილე იყო, რომელიც პინოჩეტმა 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ უვალოდ დატოვა! როგორც ამბობენ, ხელისუფლებაში მოსულმა პინოჩეტმა ორი ათასამდე იდეოლოგიური მოწინააღმდეგე დაიჭირა-დახვრიტა, ჩვენმა ბედოვლათებმა (შევარდნაძე-სააკაშვილმაძ კი იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან ერთად ოცი ათასამდე აბსოლუტურად უდანაშაულო ახალგაზრდა, ქალი, ბავშვი და მოხუცი გასწირეს უაზრო ომებში, საქართველო დააქუცმაცეს და უზარმაზარი ვალის მქონე მათხოვარ ქვეყნად აქციეს. აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თავისი ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისა, პინოჩეტს 87 (!ძ წლის ასაკში მაინც მოსთხოვეს პასუხი იმ უკანონობაზე, რაც მან ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ჩაიდინა. ჩვენთან კი ლამის ყველას (ძველს და ახალსძ ხელშეუხებლობის გარანტია აქვს განაღდებული – ისევ და ისევ ამერიკა-რუსეთის კოორდინირებული სვლებით.

ახლა, ორიოდ სიტყვა პოლიტიკურ დახმარებაზეც ვთქვათ, რაც ყველაზე კარგად აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით და საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის მაგალითზე გამოჩნდა. თუ ჩვენ პუტინი გვიკიდებს (თუ გვკიდებს, რა მნიშვნელობა აქვსძ ერთ ადგილზე – პრეზიდენტს – სიტყვით, ქართველ ხალხს კი – საქმით, სარკოზი თავისი უთავმოყვარეობით თავის თავს და საფრანგეთს არ სცემს პატივს. მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ხედავს – მის მიერ ხელმოწერილი 6-პუნქტიანი შეთანხმების მთავარი პუნქტი – საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა არ სრულდება, იგი მაინც აცხადებს, რუსეთმა ძირითადად შეასრულა შეთანხმებაო. ხვდება, რომ მისი ხელმოწერილი შეთანხმება ფარატინა ქაღალდად იქცა და იხტიბარს მაინც არ იტეხს, უკვე რუსეთის შემოჭრას გამართლებას უძებნის – სავსებით ნორმალურია, რუსეთი მის ფარგლებს გარეთაც რომ იცავს თავის მოქალაქეებსო! ამ ჩვენმა „მეგობარმა“ სარკოზიმ ნაცვლად იმისა, რომ რაიმე სანქციების დაწესების ინიციატივით შესულიყო ევროსაბჭოში, პირიქით, მთელ ევროპას მოუწოდა – რაც მოხდა, მოხდა, ამას აღარაფერი ეშველება, უნდა შევეგუოთ (რა ენაღვლება, რა!ძ და რუსეთთან მოლაპარაკებებზე, ურთიერთობის გაუმჯობესებაზე უნდა ვიფიქროთო. სანქციები კი არა, აფხაზეთ-ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობა ოფიციალურ მოლაპარაკებებზე დაუშვეს. აბა, არაოფიციალურად, რუსეთის მიერ ჩამორიგებული პასპორტებით, ისინი ხომ ისედაც თავისუფლად დადიოდნენ ევროპა-ამერიკაში (განსხვავებით დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობისა, რომელთაც ვიზებზე უარი უთხრესძ. არც უკანონო პასპორტიზაცია გაუპროტესტებია ევროპას და არავითარი ზომები ამ ფიქციური მოქალაქეების მიმართ არ მიუღია, რისი სრული უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო.

ერთადერთი, რასაც ხაზს უსვამს და თავის დამსახურებად მიითვლის სარკოზი, ესაა ცეცხლის შეწყვეტა ცხინვალში და საქართველოში ასეც მიგვაჩნდა თითქმის ყველას, მაგრამ როგორც ირკვევა, არც ეს ყოფილა მისი დამსახურება – 14 ნოემბერს მედვედევმა ოფიციალურად განაცხადა, სარკოზი არაფერ შუაშია საომარი მოქმედებების შეწყვეტასთანო! ჩვენმა „სარკო-სარკომ“ ისე გაატარა მედვედევის ნათქვამი ყურებში, ვითომც არაფერიაო. თუმცა რა გვიკვირს, როცა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსი კოლეგისგან წამოსულ, მსოფლიოს გასაგონად ნათქვამ გინებას ყლაპავს.

რაღა რჩება სარკოზის „დამსახურებებიდან“? არაფერი, თუ არ ჩავთვლით მის ჭეშმარიტ დამსახურებას (ბრჭყალების გარეშეძ ოღონდ... რუსეთის(!ძ წინაშე, როცა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოწერით სამუდამო უარი ათქმევინა ძალისმიერი გზით წართმეული მიწების დაბრუნებაზე. იარაღით უცხო სახელმწიფოში შეჭრა „საკუთარი“ მოქალაქეების დაცვის მოტივით და დამატებით, ამ სახელმწიფოსთვის მიწების იარაღით წაგლეჯვა, თურმე, დასაშვები ყოფილა, მაგრამ ამ წართმეული მიწების იარაღითვე უკან დაბრუნება კი – დანაშაული. ალბათ, ამ შეთანხმების გაუქმების დროც დადგება, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება გაეროს წესდებით გათვალისწინებულ თავდაცვითი ომების წარმოების მართებულობას – წართმეული მიწების დაბრუნება და იქიდან აყრილი მოსახლეობის თავთავიანთ სახლებში დაბრუნება კი, სხვა არაფერია, თუ არა თავდაცვითი ომი.

ზემოთქმულიდან და ჩვენი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სანამ სხვის სამსახურში ჩამდგარი „მოღვაწეები“ არ გაიშიფრებიან, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა. სანამ ამ კატეგორიის ხალხის ლუსტრაცია არ მოხდება, ყოველთვის შემოგვაპარებენ ისეთ კანდიდატებს, რომელთაგანაც შეიძლება არც ერთი არ იყოს ჭეშმარიტად საქართველოს ინტერესების დამცველი. როცა გონს მოვალთ, გავაცნობიერებთ და გაბრაზებულები ნაადრევ არჩევნებსაც მივაღწევთ, იგივე მეთოდით იმავე ყაიდის („მასტის“ძ ხალხისგან შერჩეულ კანდიდატებს შემოგვაჩეჩებენ, ოღონდ უფრო ლამაზად, უფრო მიმზიდველად შეფუთულს, ანუ „გაპიარებულს“! ამ ხალხზე ინფორმაციას, მათ ე.წ. „ბეკგრაუნდს“ ხელისუფლება, ბუნებრივია, არ გაგვიმხელს, იგი ჭეშმარიტად ოპოზიციურმა ძალებმა – პარტიებმა, ორგანიზაციებმა („ქართული აკადემიის“ დარმაძ, ჟურნალისტებმა, რიგითმა ქართველებმა უნდა მოიპოვონ და საჯარო გახადონ. დიდი სამსახურის გაწევა უდავოდ შეუძლიათ უშიშროების პატრიოტ თანამშრომლებს.

შეჩვეული ან შეუჩვეველი ჭირის, ჩრდილოეთის ან დასავლეთის იმედზე ჩვენი მტერი იყოს. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი თავის, კერძოდ კი სახელმწიფოს სათავეში მყოფების იმედი, და რადგანაც სახელმწიფოს მართვისთვის საკმარისი ცოდნა, სიბრძნე-გამოცდილება, თავშეკავება და, გნებავთ, დიპლომატიური ეშმაკობა 25–30 წლის ასაკში არავის არ ჰქონია, რაშიც ჩვენი ხელისუფლების მაგალითზე უამრავჯერ დავრწმუნდით ხუთი წლის განმავლობაში, ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია თანამდებობის პირთათვის დაწესდეს ახალი ქვედა ასაკობრივი ზღვარი:

პრეზიდენტ-სპიკერ-საგარეო და პრემიერ-მინისტრისთვის – 45 წელი (ან 40 მაინცძ; მინისტრ-ელჩების და მოსამართლეებისთვის – 40 ან 35 წელი; საქართველოს პირველი უნივერსიტეტის რექტორისთვის კი – 50 წელი.

სამწუხაროდ, ბოლო ხუთ წელიწადში გაწეული მთელი შრომა, მიტინგ-დემონსტრაციები, თავის გადადება საშიმშილოდ და ხელჩართული ბრძოლისთვის, ლამის სულ წყალში ჩაეყაროს ოპოზიციას. საკუთარი უხერხემლობით შერცხვენილი და მოსახლეობის ადრინდელ მასობრივ მხარდაჭერას მოკლებული ოპოზიცია, რომელიც ლიდერების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა, ახლა ახალ ლიდერს ეძებს და, თანაც სად, პარადოქსია, მაგრამ – სახელისუფლებო წრეში, ორი ყველაზე წონიანი ოპოზიციური პარტია კი ეკვრება ვის, აქაც პარადოქსია – №2 პასუხისმგებელ პირს, რომელსაც თურმე, როგორც ეს ეკადრება კარგი ოჯახის (სახელისუფლებოძ შვილს, ერთი ამბავი ჰქონია ატეხილი „ოჯახის“ შიგნით მთელი ხუთი წლის მანძილზე, მაგრამ ნამუსს უნახავდა ოჯახის უფროსს! და საჯაროდ, იძულებული იყო გაემართლებინა ყოველი მისი ნაბიჯი ერთი გუნდის (ოჯახის, კლანისძ პრინციპიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ბატონ ირაკლი ალასანიას, ჯერჯერობით, დღევანდელი გამოხმაურებებით (ან სულაც, დუმილითძ იგი, თითქოსდა, მისაღებ კანდიდატად გამოიყურება როგორც ამერიკისთვის, ისე რუსეთისთვის, როგორც ოპოზიციისთვის , ისე საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობისთვისაც. ერთი სიტყვით, ყველასათვის, პრეზიდენტის გარდა. ეს კარგიც არის, ერთი მხრივ, მაგრამ ცოტა დამაფიქრებელიც – პრაქტიკულად ხომ შეუძლებელია ოთხივე მხარისთვის მისაღები კურსის გატარება.

ეგებ, იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა კაცს თავისი, დღემდე არსებული ინფორმაციით სუფთად მოტანილი რეპუტაცია არავისთვის და არაფრისთვის გასასვრელად არ ემეტება, როცა მისი მთავარი საზრუნავი სამშობლოა და საკუთარი, ჟიული შარტავასთან ერთად გმირულად დაღუპული, მამისთვის 20 წლის ასაკში გულში უსათუოდ მიცემული სიტყვის შესრულებაა? მისია ერთობ რთულია, მაგრამ არა უტოპიური. მთავარია, ქართველმა ხალხმა ირწმუნოს და მასში დაინახოს ერზე მაფიქრალი უშიშარი ლიდერი, და მაშინ მთელი ერი თუ ბერი მის ირგვლივ დაირაზმება, ერთ მუშტად შეკრული საქართველო კი ისტორიულად არასოდეს დამარცხებულა. როგორ მინდა, არ ვცდებოდე და ღმერთმაც კეთილი თვალით გადმოგვხედოს. მეოთხედ მაინც!

მაგრამ ღმერთის იმედზე თუ დავრჩით და ხელი არ გავანძრიეთ დროზე, ამ ხელებზე დადებული ეკონომიკური და პოლიტიკური ბორკილები სამუდამჟამოდ გადაგვექცევა.

**იაკობ ლეჟავა**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 16.**

## აშშ ქართველის თვალით



# ობამას ნანობილეთი

***4 ნოემბრის შემდგომ და მანამდეც არაერთ ექსპერტს გაუანალიზებია ბარაკ ობამას ფენომენური წარმატების მიზეზი თუ მიზეზთა ერთობლიობა. როგორც ჩანს, პოლიტიკაში ჯერ კიდევ წარსულს ვერ ჩაბარდა სოციალური შეკვეთა ქარიზმულ ლიდერზე. საქმე სულაც არაა მარტინ ლუთერ კინგის ოცნების ასრულების დროის დადგომაში, ანდა ამერიკის სურვილში ზანგების მიმართ კაცობრიობის მიერ ჩადენილი დანაშაული ბოლოს და ბოლოს გამოისყიდოს და აქაც მთელს მსოფლიოს დაასწროს თუ გაასწროს. ჯესი ჯექსონის „წინამორბედს“ 11 სექტემბერი, ერაყ-ავღანეთის ომი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რომ „ჰქონოდა“, ხოლო „ჩრდილოვანი სენატორი“ (ასე უწოდებენ ჯექსონს) ობამასდარად სილიკონის ველისა და სოციალური ნეთვორკინგის (სამუშაო ქსელი) უნარ-ჩვევებში გაწაფულიყო, ამერიკას პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი უკვე 1980-იან წლებში ეყოლებოდა. 2009 წელს ინაუგურაციის დროს ჯესი ჯექსონი ტიროდა, მის ცრემლებს კი სატელევიზიო კამერა ფართო რაკურსით აჩვენებდა. მაგრამ მისი ცრემლები, ალბათ, მხოლოდ სიამაყის ცრემლები არ იყო...***

აშშ-ის ბოლო არჩევნებს პოეტურ-რომანტიკულ სულს თუ ჩამოვაშორებთ და მისი პროზის გაშიფვრას შევუდგებით, აღმოჩნდება, რომ ობამას ქარიზმა ამოსახსნელად არც ისე რთული ფორმულა ყოფილა. მამა-შვილი ბუშებისგან და ბილ-ჰილარი კლინტონებისგან განსხვავებით ბარაკ ობამა ელექტრონული ტექნოლოგიების, ინტერნეტის, Google-ის წარმატებული პროდუქტი, მომხმარებელი და, რაც მთავარია, მოკავშირეა. „ჩვენ ვართ ახალგაზრდა ერი, მაგრამ საჭირო არაა ბავშვობაში გადავარდნა. ჩვენ შევძელით ის, რაც შეუძლებელი იყო. ჩვენ დავიწყებთ მუშაობას ამერიკის გარდაქმნისთვის. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ იმედი უიმედობას ვამჯობინეთ, ერთიანობა – დაპირისპირებას. ამ დღეს ჩვენ ვაცხადებთ იმ წუხილის, შიშის, ცრუ დაპირებებისა და გაცვეთილი დოგმების დასასრულს, რომლებიც ჩვენს პოლიტიკას აწვებოდნენ. „We did this elections!“ (სიტყვასიტყვით „ჩვენ გავაკეთეთ (ვქმენითძ ეს არჩევნები!“ძ – რეფრენად იმეორებდა ობამა და დასძენდა: „დადგა პასუხისმგებლობის ახალი ერა“... თავის საპრეზიდენტო სიტყვაში ობამას ეკონომიკური ალმავლობის დასაწყისის თარიღი არ დაუსახელებია, ისევე როგორც არ უხსენებია თავისი მთავარი მოკავშირე – სილიკონის ველის ზინადარნი. თუმცა საინტერესოა, ვის გულისხმობდა იგი სიტყვაში „ჩვენ“? აფროამერიკულ თემს, ნანოტექნოლოგიების კალიფორნიელ მშობლებს თუ ბუშის ადმინისტრაციის შეცდომებს? ეს უკანასკნელნი დემოკრატიული პარტიის გამარჯვების სტრატეგიულ პარტნიორად გადაიქცნენ... ანდა ვინ უნდა მოიაზრებოდეს სიტყვაში „ისინი“? „შიში“, ისევე როგორც სხვა ადამიანური გრძნობები, კრებითი ცნებაა და აქ და ამჟამად დაკონკრეტებას მოითხოვს. რაც შეეხება ტერორიზმის შიშს: ცნობილია, რომ აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის რამდენიმე ათეული ტონა დაჯავშნული მინა იქნა შეკვეთილი. ათასობით პოლიციელი, სამხედრო თუ სადაზვერვო უწყების თანამშრომელი ხმელეთზე, ჰაერში, წყალზე თუ წყალში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს იცავდა. ადვილია წერო პაციფისტური თუ საინაუგურაციო ტექსტები კაბინეტში, როცა მას უსაფრთხოების დაუძინებელი და თანაც შეიარაღებული თვალი აკონტროლებს.

უბრალო ამერიკელებისგან არაერთხელ მსმენია, სხვებისგან განსხვავებით, ობამა ტვინიდან კი არა, გულიდან ლაპარაკობსო. ორატორული ნიჭი ამერიკის ისტორიაში სპიჩრაიტერებს ხომ თავისთავად, მაგრამ პრეზიდენტებსაც ჰქონდათ, მაგრამ ობამას მაინც სხვა ხიბლი აქვს, რადგან იგი „გარდუვალი“ იყო და არის. არა, ამერიკა, გოდოს მოლოდინით არ იტანჯებოდა. იგი უბრალოდ ახალგაზრდაა და ამიტომაც მისთვის, კონსერვატიული ევროპისგან განსხვავებით, ექსპერიმენტი ჟანგბადივით აუცილებელი ელემენტია. აღარ ახსენებენ იმ თანხას, რომელსაც, წესით, გულთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რადგან იგი „რაციოს“ პროდუქტია. არადა პრაიმერიზის ჩასატარებლად ობამამ 250 მლნ. მოაგროვა, ხოლო საპრეზიდენტო კამპანიის საწარმოებლად – 650 მლნ. დოლარი. ჰილარი კლინტონი კი ახლაც უზარმაზარ ვალშია და არავინ იცის, როგორ დააღწევს იგი თავს პარტიის თუ პრეზიდენტის მარათონის დროს დაგროვილ უზარმაზარ სესხს.

იხ. 9 გვ.

## ეროვნული ტკივილი

***ქვეყანა, რომლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებით, ზეგნებით და გორაკებითაა წარმოდგენილი, გეოგრაფიის ყველა სახელმძღვანელოში, მთიან ქვეყნად იწოდება. არ ვიცი ,ეს არ იციან თუ არ უნდათ გაიგონ. განა შეიძლება დღემუდამ გაიძახოდე საქართველოში მთები გვაქვსო და არ იცოდე, რომ ჩვენ მარტო ეული მთები კი არა გვაქვს, არამედ მთიანი ქვეყანა ვართ და ამ ქვეყნისთვის, საკუთარი მთიანეთისთვის არაფერი გააკეთო, ხელი არ შეუწყო მის აღორძინებას. აღორძინებას ვინღა ჩივის, როდესაც დღეს საჭირო ხდება ზრუნვა მის გადარჩენაზე. დიახ, გადარჩენაზე, რადგან ჩვენი მთიანეთი ერთიანად მოიშალა და ისედაც სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილს, კვლავ მრავალი მტკივნეული პრობლემა გაუჩნდა. გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, მთა მოსახლეობისგან იცლება და რაც ყველაზე სამწუხაროა, წინათ თუ მათი გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე ხდებოდა, დღეს ოჯახებიანად უცხოეთში გადაიხვეწნენ...***

არ ვიცი, რამდენად აწუხებს ჩვენ ხელისუფლებას მთიან რეგიონებში არსებული უგზოობა. თუშეთი, ხევსურეთი, სვანეთი, რაჭა მოწყვეტილი არიან ცენტრალურ ქალაქებს. მთიანეთში ხშირია უსინათლობა; არ არის ტელე-რადიო გადაცემები; არ მიეწოდება პრესა; მეტად დაბალ დონეზეა განათლება და სამედიცინო მომსახურება; პრიმიტიული მეთოდებით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები; მოშლილია კომუნალური მეურნეობა; უმოწყალოდ იჩეხება ტყის მასივები; არ ვითარდება ტურისტული და რეკრეაციული ინდუსტრია; სამთო-სათხილამურო სპორტი და მრავალი სხვ. თუ ყველაფერ ამას გეოგრაფის თვალით შევხედავთ, ეს ხომ მთელი საქართველოა, მისი ტერიტორიის 79 პროცენტია. დღეს მთისთვის დამახასიათებელია დემოგრაფიული დაბერება. ახალგაზრდობა ბარისკენ გამორბის, იკლო ქორწინებამ, შობიარობამ, გახშირდა მოკვდავობა, ჩვენი მთიანეთი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალშვილიანობით, ახლა მხოლოდ მოხუცებულთა მცირე რაოდენობით თუ გამოირჩევა...

მთა უხსოვარი დროიდან იპყრობდა ადამიანთა აზროვნებას არა მარტო არაჩვეულებრივი სილამაზით, არამედ იმ ურიცხვი სიმდიდრითაც, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი არსებობისთვის. ჩვენი მთიანეთი ქართველი ერის უდიდესი დასაყრდენია და გვაძლევს ამოუწურავ რესურსებს; გვინახავს მყინვარებს, რომლებიც წყლის უზარმაზარ რეზერვებს წარმოადგენენ, გვკვებავს მდინარეებითა და ანკარა წყაროებით, აქ არის „თეთრი ნახშირის“ უდიდესი მარაგი, უძვირფასესი ტყის მასივები და ტყის ნობათი, თვალუწვდენელი სათიბები, ეგზოტიკურ ცხოველთა და მცენარეთა სამყარო; ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტები და ბოლოს, მთის ულამაზესი ლანდშაფტები, მინერალური წყლები, მრავალგვარი სასარგებლო წიაღისეული, კრიალა ჰაერი, ყველა პირობა სარეკრეაციო, ტურისტული და სამთო სპორტის განვითარებისთვის. ყველა ეს სიკეთე ფასდაუდებელ სამსახურს უწევს თანამედროვე ადამიანს, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ!

პრეზიდენტის პირველივე საჯარო გამოსვლაში მოვისმინეთ, რომ „უპირველესი ყურადღება მთის აღორძინებას უნდა მიექცესო“, რა მოჰყვა ამას. ერთადერთი ორგანო, რომელიც ასე თუ ისე მთის პრობლემებით იყო დაინტერესებული (პარლამენტის მთისა და



# დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოგვისმენენ!

## კიდევ ერთხელ მთის გასაჭირზე

განსახლების კომიტეტიც, გაუქმდა! პირველივე საპარლამენტო სესიაზე გამოცხადდა, რომ ყველაზე სასიკეთო რამ, რაც მთებისთვის გაკეთდა „მთიანი რეგიონების სოციალური, ეკომიკური და კულტურული განვითარების კანონი“ **არ დაფინანსდება!** კანონი, რომელიც დსთ-ს ქვეყნებში საქართველომ პირველმა მიიღო და ამით ევროპის ისეთი ქვეყნების რიგს შეუერთდა, როგორიც საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და იტალიაა, 1999 წლიდან განუხორციელებელია და კაცმა არ იცის როდის ამუშავდება. გაურკვეველია, უფრო სწორად, გასაკვირველი, მაშ რატომ მივიღეთ ეს კანონი, თუ მივიღეთ, როგორ შეიძლება, რომ მიღებული კანონი 10 წლის განმავლობაში არ მოქმედებდეს? რა არის ეს – კანონდაუქვემდებარეობა თუ უკანონობა?..

იციან თუ არა ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებიც მთის პრობლემებზე მუშაობენ, განსაკუთრებით კი მეცნიერებათა აკადემიის „მთიანეთის კომისიამ“, რა არის საჭირო და როგორ შეიძლება მთიანი რეგიონების აღორძინება. ძალიან კარგად იციან, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს მეცნიერებს არავინ არაფერს ეკითხება, ხოლო სპეციალისტები, რომელთაც მუშაობის ათეული წლები აკავშირებდათ ამ პრობლემებთან, ქუჩაში გამოყარეს.

გაუგებარია, რას ფიქრობს საქართველოს მთავრობა, როდესაც არ გაგვაჩნია ჩვენი მთიანეთის მდგრადი განვითარების ეროვნული პოლიტიკა. არ ვიცი რატომ, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაციონალურ მთავრობას ავიწყდება, რომ მთა არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთის მიმწოდებელია ბარისთვის, არამედ მისი ბუნებრივი გარემოს დამცველიც. მთების ეს ფუნქცია რომ მოიშალოს, მაშინ ისინი პოტენციური მნგრეველები გახდებიან და მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს იმსხვერპლებენ. ესაა – წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები, ტყეთა მოწყვეტა, ზვავები, მიწისძვრები და ყველაზე საშიში ვულკანები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენს საზოგადოებას, მთავრობას, პარლამენტის რეგიონალური მმართველობის და მთის კომიტეტს, კიდევ ერთხელ გავუზიაროთ ჩვენი 50 წლის დაკვირვებებზე დაფუძნებული მოსაზრებანი საქართველოს მთიანი რეგიონების გადარჩენის, აღორძინების და მათი მდგრადი განვითარებისათვის. როცა ვლაპარაკობთ, მთის მოსახლეობის თავისებურ მენტალიტეტზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს მრავალმხრივ დაკავშირებულია გეოგრაფიულ გარემოსთან, მათ საცხოვრებელ ადგილებთან, ტერიტორიასთან. ტერიტორია – ეს ხომ რეგიონის, სახელმწიფოს, ოლქის და საბოლოო ჯამში, ცალკეული ინდივიდების ძირითადი და მთავარი სიმდიდრეა, მიწაა, ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყული. სწორედ ეს მიწა კანონიერად და რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

მთიანმა რეგიონებმა, რომლებიც ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებიან, გამოსავალი უნდა იპოვონ მხოლოდ კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებით, ტრანსპორტის, მიწისა და ადამიანთა რესურსების რაციონალური გამოყენებით. ყველაფერ ამას, ბუნებრივია, თანხები სჭირდება. ამიტომ, საჭიროა ძებნა და მთიანი რეგიონების საჭიროებაზე უცხოური გრანტების, რაციონალური, მიზნობრივი გამოყენება.

აუცილებელია მთის მოსახლეობის ჩვეულებების სოციალური ხელშეწყობა. ამიტომაც, უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოს ყველა მთის რაიონში ჩვენ გვაქვს კრიზისული სიტუაცია სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ სფეროებში. სწორედ ამიტომ, ამ ოთხ სისტემას უნდა ეფუძნებოდეს რაიონისა და სოფლის მმართველობა, საჭიროა შემუშავდეს ახალი მიდგომები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ აღნიშნული პრობლემების მთელი კომპლექსი.

დღეს ჩვენს მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია საბჭოური აზროვნება. არ არის ინიციატივა ქვემოდან, პირიქით, ყველაფერი კეთდება, რათა მთელმა ძალაუფლებამ თავი მოიყაროს სახელმწიფო ჩინოვნიკების ხელში. მოსახლეობა კვლავ შეჰყურებს მთავრობას საკუთარ პრობლემათა მოგვარების საკითხში. ამიტომაც, საჭიროა მთის მოსახლეობის ეკონომიკური განათლება.

საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლების განვითარების პერსპექტიული გეგმა უნდა შედგეს საზოგადოების დახმარებით, ნაციონალური პოლიტიკისა და ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. საჭიროა სოფლებსა და რაიონებში გატარდეს სწორი დემოგრაფიული პოლიტიკა.

საქართველოს მთიანეთს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს კიდევ ერთი გარემოება. მათზე გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მეზობელ ქვეყნებთან. ამ რეგიონების დაცარიელება გამოიწვევს აქ უცხო ტომთა შემოჭრას! რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს ხევსურეთში, თუშეთსა და ხევში. ვკარგავთ ჩვენ ტერიტორიას, რომელიც მამა-პაპამ ხმლით, მახვილითა და სისხლით შემოგვინახა.

ყოველივე ეს კიდევ სხვა მრავალი მტკივნეული პრობლემა, რომელთა მოგვარება ხელს შეუწყობდა მთიანეთის აღორძინებას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიამ ბევრჯერ მიაწოდა ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ მათგან არავითარი რეაქცია არ ჩანს. ჩვენ მაინც ვშრომობთ, ვიბრძვით და იმედს არ ვკარგავთ. დღეს არ მოგვისმენენ, ხვალ მაინც გაიგებენ!

**ბერდო გოიშვილი,**
**პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე**

№ 17. პარასკევი, 30 იანვარი, 2009 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი კიდევ ერთ შავი ზღვის ფლოტს ქმნის

**რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარმა შტაბმა დაადასტურა ამასწინანდელი ხმები, რომ შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს ბაზა ექნებათ აფხაზეთში. მაგრამ სამხედრო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთელი მეზღვაურები უკრაინიდან არ წავლენ.**

ოჩამჩირეში ბაზის შექმნას რუსეთის სამხედროები შეძლებენ შეუდგნენ უკვე მიმდინარე წელს. საბჭოთა დროს ოჩამჩირეში განლაგებული იყო სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ობიექტები, იქ ბაზა ჰქონდათ სასაზღვრო სამსახურის საგუშაგო გემებს. ნავსადგურში შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავებსაც კი შეეძლოთ შესვლა. ახლა ფლოტის სარდლობა აპირებს გააღრმავოს ფსკერი აფხაზეთის სანაპიროსთან, რათა ნავსადგურში შესვლა შეეძლოთ დიდ და მცირე სადესანტო ხომალდებს. ამ სამუშაოებს არაერთი წელი დასჭირდება. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უკვე დაიწყეს იმაზე მსჯელობა, რომ ოჩამჩირის ბაზა შეიძლება გახდეს სევასტოპოლის ალტერნატივა, საიდანაც შავიზღვის ფლოტი უნდა წავიდეს 2017 წლიდან უკრაინა-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად. მაგრამ სამხედრო ექსპერტები სკეპტიკურად ეკიდებიან ამ იდეას. აფხაზეთში არასოდეს არ ყოფილა სერიოზული ინფრასტრუქტურა, ოჩამჩირის ნავსადგური კი განკუთვნილია მხოლოდ მცირე გემებისთვის. ამიტომ იქ, როგორც ჩანს, იქნებიან რაღაც მცირე საგუშაგო ხომალდები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს შავი ზღვის ფლოტის წასვლას სევასტოპოლიდან და საერთოდ ყირიმიდან.

ოჩამჩირეში შეიძლება გადაიყვანონ ის ხომალდები, რომლებსაც ბაზა აქვთ რუსეთის შავიზღვისპირეთში, მაგრამ არა სევასტოპოლიდან, – თქვა რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა. მისი აზრით, ნამდვილი ბაზა აფხაზეთში ბუნებრივი პირობების გამო ვერ იქნება, სერიოზული ინფრასტრუქტურის მშენებლობაში კი რუსეთი ფულს არ დააბანდებს.

უკრაინელ სამხედრო ექსპერტს ვალენტინ ბადრაკს მიაჩნია, რომ რუსეთის განცხადებანი ხან ნოვოროსიისკში, ხან აფხაზეთში შავი ზღვის ფლოტის ბაზის შექმნის შესახებ მოწმობს მოსკოვის უუნარობას, იპოვოს ფლოტისთვის ადეკვატური ბაზა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მხარე ასეთნაირად აპირებს გააჭიანუროს მოლაპარაკების პროცესი, რათა გაახანგრძლივოს უკრაინასთან დადებული ხელშეკრულება და 2017 წლის შემდეგაც კი დატოვოს ფლოტი სევასტოპოლში...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას, ყურადღებით მოეკიდოს რუსეთის მოქმედებებს. თბილისი აცხადებს, რომ მოსკოვი „ყველა ზომას ხმარობს, რათა გააძლიეროს თავისი სამხედრო ყოფნა რეგიონში“.

газета 24

# ჯავახელი ჯაშუშები

**გუშინ თბილისის სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა ჯავახეთის რეგიონის სომეხთა თემის აქტივისტებს გრიგორ მინასიანსა და სერგეი აკოფჯანიანს. მათ ბრალად ედებათ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა და ჯაშუშობა. მართლმსაჯულებაზე ვერ იმოქმედა ვერც სომხეთისა და ჯავახეთის სხვადასხვა ორგანიზაციის მწვავე განცხადებებმა და ვერც მეზობელი ქვეყნის ეროვნული კრების (პარლამენტის) მთელ რიგ დეპუტატთა რეაქციამ.**

გრიგორ მინასიანი – ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი და სერგეი აკოფჯანიანი – ქველმოქმედი ორგანიზაციის „შარლ აზნავურის“ მეთაური პოლიციამ 22 იანვარს დააპატიმრა. დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე პოლიციამ გაჩხრიკა ცენტრი, ამოიღო რაღაც წიგნები და კომპიუტერების მაგარი დისკები. იგი დააკავეს, როცა ჩამოსვეს სამარშრუტო ტაქსიდან, რომელიც, ზოგიერთი მონაცემით, მიდიოდა მეზობელ ახალქალაქში, სხვა მონაცემებით კი – სომხეთში. ყოველივე ეს გადაიღეს ვიდეოკამერით თბილისიდან ჩამოსულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. აკოფჯანიანის დაპატიმრება მოხდა უფრო ტრივიალურად – იგი დააკავეს მიცვალებულის დაკრძალვის დროს.

მომხდარმა ამბავმა სომეხთა კომპაქტური დასახლების ქართული რეგიონის – ჯავახეთის ორგანიზაციათა პროტესტი გამოიწვია, რომლებმაც ხელისუფალთ დააბრალეს ეთნიკურ უმცირესობათა შევიწროება, უყურადღებობა რეგიონისადმი და მოუწოდეს მსოფლიო გაერთიანებას, ყურადღება მიაპყრონ „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების აშკარა დარღვევებსა“ და „ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მიმართ საქართველოს ხელისუფალთა მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა აშკარა დარღვევებს“.

მწვავე იყო რეაქცია ერევნიდანაც. ადგილობრივმა პრესამ არ დაიზარა და გაიხსენა საქართველოში სომეხთა დაპატიმრების სხვა შემთხვევები. პარლამენტის დეპუტატმა შირაქ ტოროსიანმა მოუწოდა ქვეყნის ხელმძღვანელობას „ჯავახელ სომეხთა პრობლემა ნომერ პირველ საკითხად შეიტანოს სომხეთ-საქართველოს ურთიერთობათა დღის წესრიგში“. „სომხეთის ხელისუფლებმა ამ საკითხში უმაღლეს დონეზე უნდა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები“, – განაცხადა ტოროსიანმა ორშაბათს გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე. ანალიტიკურ ცენტრ „მიტკის“ („აზრი“ძ ექსპერტი ვაე სარქისიანი ამტკიცებს, რომ მინასიანის ერთადერთი „ბრალი“ შეიძლება იყოს ის, რომ დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე მან თავისი შვილები და ახლო ნათესავები მონათლა უმოქმედო სომხურ ეკლესია სურბ ნშანში, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ამავე დროს სიტუაცია არც ისე მარტივია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნეზავისიმაია გაზეტას“ შესთავაზეს ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ჯავახეთში მოქმედებს დაახლოებით 50 არასამთავრობო ორგანიზაცია, „რომელთა ნაწილი პერიოდულად გამოდის ერთობ მწვავე, მტკივნეული, ხშირად არაობიექტური განცხადებებით ხელისუფალთა მიმართ, მაგრამ პრობლემები აქტივისტთა დაკავების გამო მათგან ერთ თუ ორ ორგანიზაციას ექნება – მათი საქმიანობა მთლიანად შეესაბამება ქართული მიწების წაგლეჯვის რუსულ გეგმებს“. „სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მტკიცებულებათა გამოუყენებლად ეს არ მომხდარა“, – თქვა თანამესაუბრემ.

სომეხთა დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, გაზეთ „ვრასტანის“ („საქართველო“ძ მთავარმა რედაქტორმა ვან ბაიბურთმა „ნეზავისიმაია გაზეტას“ განუცხადა, რომ თემი თვალყურს ადევნებს პროცესს. „ჩვენ გვითხრეს, რომ მინასიანისა და აკოფჯანიანის დასაკავებლად დამაჯერებელი საფუძვლები იყო: არის სატელეფონო საუბრების ჩანაწერი, დაპატიმრებულთა გარკვეულ მოქმედებას კი პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ“, – უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ბაიბურთმა. მისი თქმით, ვითარება ჯავახეთში მართლაც არ არის მარტივი, ხალხი ცხოვრობს რთულ პირობებში და ამით „სარგებლობენ საქართველოს გარეთ მყოფი ძალები, რომლებსაც სურთ გააქანაონ ნავი“. „მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედრო ბაზა გაიყვანეს ახალქალაქიდან, სადაც მრავალი ადგილობრივი მცხოვრები მუშაობდა, რეგიონი მართლაც აღმოჩნდა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში. მაგრამ ხელისუფლებმა აამოქმედეს მიზნობრივი პროგრამა, რომლის წყალობით მხოლოდ შარშან სხვადასხვა ობიექტზე დასაქმდა თითქმის ათასი კაცი. წესრიგდება სკოლები, საავადმყოფოები, გზები, სხვა ინფრასტრუქტურა, და ახლა საქართველოში არის უფრო პრობლემური რეგიონები, ვიდრე ჯავახეთი“, – მიაჩნია ბაიბურთს.

განმარტა რა სიტუაცია, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას“, რომ „დაკავებულების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები სერიოზულია“. „არავითარ შემთხვევაში არ მინდა ჩრდილი მივაყენო ჯავახეთის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას – ესენი არიან კანონმორჩილი მოქალაქეები, რის მეოხებითაც რეგიონში მშვიდი მართული ვითარებაა. მაგრამ არიან მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ამღვრევენ წყალს, მოქმედებენ მეზობელი სახელმწიფოს აშკარა დაკვეთით, თანაც ინილბებიან არასამთავრობო ორგანიზაციათა შირმით. ზოგიერთი მათგანის საქმიანობა უკვე აღკვეთილია, სხვებს იგივე ხვედრი ელის“, – უთხრა იაკობაშვილმა „ნეზავისიმაია გაზეტას“. რაც შეეხება მკვეთრ განცხადებებს სომხეთიდან, სახელმწიფო მინისტრის თქმით, ისინი ეკუთვნის ან ადამიანებს, რომელთაც არ ესმით ჯავახეთში შექმნილი სიტუაცია, ან „პოლიტიკურ ავანტიურისტებს“. „ყველა ფარაში, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი კოჭლი ცხვარია“. სომხეთის ხელმძღვანელობასა და ხალხს, დარწმუნებული ვარ, ეყოფათ სიბრძნე, რათა მიხვდნენ, ვის სასარგებლოდ მოქმედებდნენ დაკავებული სომხები, – აცხადებს იაკობაშვილი.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

# პარტია „საქართველოს გზა“

## ფინანსური დეკლარაცია 2008 წლის

| | | |
|---|---|---|
| შემოსავალი | | |
| შემოწირულობა | | 11450 |
| საწევრო შენატანი | | 1112 |
| | ჯამი | 12562 |
| გასავალი | | |
| ხარჯი: | | |
| | ელ.ენერგია | 450,45 |
| | წყალი-გაზი | 772,14 |
| | ინტერნეტი | 312 |
| | სააბონენტო | 570,15 |
| სხვა ხარჯები | ბროშურის დაბეჭდვა | 1880 |
| | იჯარა | 6600 |
| | დროშა | 540 |
| | კომპიუტერის მომსახურების ხარჯები | 415 |
| | პოსტერები | 270 |
| | საკანცელარიო ნივთები | 132 |
| | სხვადასხვა მომსახურების | 267,50 |
| | სულ ხარჯი | 12209,24 |

01.01.2008 წლისათვის გადმომავალი ნაშთი არის 36 ლარი და 35 თეთრი.
ნაშთი 01.01.2009 წლისათვის არის 389 ლარი და 11 თეთრი, აქედან საბანკო ანგარიშზე 0,73ლარი ხოლო სალაროში 388,38 ლარი

| № | შემომწირველი სახელი, გვარი | პირადობის მოწმობის და პირადი ნომერი | მისამართი | შემოწირულობის სახე | თანხის ოდენობა ლარებში | შემოწირულობის მიღების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 2000ლ | 2008წ |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 2000ლ | 2008წ |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 2000ლ | 2008წ |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 2000ლ | 2008წ |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 2000ლ | 2008წ |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | ფულადი სახით | 1450ლ | 2008წ |

**ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ**

პარტიას კუთვნილი შენობა-ნაგებობები და სატრანსპორტო საშუალებები არ გააჩნია.

**ცნობა საბანკო დაწესებულებაში რიცხულ თანხებზე**

პარტიას ანგარიში აქვს გახსნილი საქართველოს ბანკის ცენტრალურ ფილიალში. დღეის მდგომარეობით ანგარიშზე ნაშთად ერიცხება 0,73ლარი

პარტიის თავმჯდომარე

ს.ზურაბიშვილი

---

**საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ინდივიდუალური აუდიტორი**

## დავით შალიკაშვილი

ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონი, მე-9 კორპუსი, ბინა 14, ტელ: 21-54-10

**პარტია „საქართველოს გზის“ 2008 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგებზე**

## აუდიტორული დასკვნა

ქ. თბილისი 24.01.2009 წ.

ეს დასკვნა მომზადებულია ინდივიდუალურ აუდიტორ დავით შალიკაშვილის მიერ, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 12.03.2000 წელს გაცემული №8-120 ლიცენზიისა და 2008 წლის 12 დეკემბერს ზ-№4/063 საკვალიფიკაციო სერთიფიკატის საფუძველზე.

პარტია „საქართველოს გზის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სინამდვილესა და სისრულეზე პასუხს აგებს ხელმძღვანელობა, ხოლო მე მევალება ჩემი აზრი გამოვთქვა ამ დოკუმენტების შესაბამისობაზე, მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან.

აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ კომერციულ საქმიანობას არ ეწევა. მის მიზანს ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს, ხოლო მისი დაფინანსება ხდება საწევრო შენატანების და შემოწირულობების ხარჯზე. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, მე სრული საფუძველი მაქვს დავასკვნა წარმოდგენილი ფინანსური დეკლარაცია უტყუარად და სამართლიანად ასახავს პარტიის 2008 წლის ფინანსურ მდგომარეობას.

დანართი: ცნობა ფინანსური ანალიზის შესახებ.

აუდიტორი
დ. შალიკაშვილი

⊙ აშშ ქართველის თვალით

# ობამას ნანობილუთი

(მეშვიდე გვერდიდან)

ობამა, ალბათ, პირველი საინტერნეტო და სოციალური ნეთვოკინგის (სამუშაო ქსელიძ თაობის წარმომადგენელი, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკია, რომელმაც ეს მექანიზმი სრულად აამოქმედა და მიზანსაც მიაღწია. დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიების არაპროფესიულად და, მით უმეტეს, ექსპერტულად ცოდნა, ფაქტობრივად, სახლიდან გაუსვლელად ინფორმაციის მიღების, გაგზავნის, სინთეზ-ანალიზის, გადათარგმნის, გაცვლის, ორგანიზების, დაბლოკვის უკიდეგანო შესაძლებლობას იძლევა. ფიზიკური, მენტალური და მატერიალური კაპიტალის დიდი დოზების დაუხარჯავად შესაძლებელია ეს რესურსი მოიძიო, გამოიყენო, მართო, გაამდიდრო შეგიძლიათ ალიასკიდან ერაყის რომელიმე სოფლის დიალექტი ავსტრალიელს ასწავლოთ ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. არ ვიცი, ერაყის სოფელს ამგვარი სწავლება რამდენად წაადგება, მაგრამ მაინც. ამგვარი ლოკალურ-გლობალური ქსელები არა მარტო სილიკონის ველის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთგვარი მონაპოვარიცაა, ასევე მათი არსებობის ფორმა და წარმატების საზომია. ენ-ჯი-ოშნიკური გამოცდილება საკონსტიტუციო კანონების სპეციალისტ ბარაკ ობამას არ ჰქონია, სამაგიეროდ, ინტუიციისა და კარგი მრჩევლების ნაკლებობაზე არასოდეს დაუჩივლია. ინფორმაცია ობამას შტაბში გახლდათ მაქსიმალურად ცენტრალიზებული და ამიტომაც ნეგატიურ თუ არასარი კი ერთგვარი ქორწილის დღე იყო, რომელსაც მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. საყოველთაო სამოქალაქო ზეიმის მთავარი სადღეგრძელოს ტირადებს კი უსიამოვნოდ მჟღერი „მტერი" არანაირად არ ერითმებოდა.

ცნობილია, რომ ობამამ თავისი საარჩევნო მილიონების ლამის 60-70 პროცენტი სწორედ ინტერნეტით შეკრიბა. ობამას საპრეზიდენტო დანაპირებ ცვლილებათა სიაში ლობისტური საქმიანობის ფრთების შეკვეცაც შევიდა, მაგრამ ამგვარ სიაში სილიკონელები, სავარაუდოდ, არ მოხვდებიან. ნებსით თუ უნებლიედ ობამა გამარჯვებას სწორედ მათ უნდა უმადლოდეს. კალიფორნია ჰოლივუდისა და სილიკონის ველის ტერიტორიაა, სადაც გუბერნატორი რესპუბლიკელი არნოლდ შვარცენეგე-



ან გაალარიბო. ჰაკერები მარტო არასასურველი ვებგვერდების მწყობრიდან გამოყვანას, „ტროას ცხენების" შეგზავნას კი არა, საბანკო ანგარიშების გატეხვასა და მილიონობით ვალუტის მოპარვასაც ახერხებენ ყოველგვარი ყაჩაღური თავდასხმისა და სისხლისღვრის გარეშე. XXI საუკუნეში ინტერნეტი მეხუთე ხელისუფლებად გადაიქცა.

ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა სამუშაო პოზიციები სახელწოდებით „მუშაობა სახლიდან". კალიფორნიული სილიკონის ველის სასწაულმა თითოელი ოჯახის კარზე დააკაკუნა. ამ თემაზე იწერება წიგნები, სახელმძღვანელოები, იქმნება საგანმანათლებლო გადაცემები, ვითარდება სისტემა, ხდება იდეების გაცვლა-გამოცვლა. შეგიძლიათ ინტერნეტით, მესინჯერით, FaceBook-ით, YouTube-ით, MySpace-ით, IPhone-ით, საავტორო ბლოკებით, „ცოცხალი ჟურნალებით", Google-ის ნანოტექნოლოგიებით, ბლექბერითა და ციფრული სისტემებით თქვენი ნააზრევი ნახევარ დედამიწას გააგებინოთ ანდა ათასობით კილომეტრით დაშორებული სახლის ფასადი და სამზარეულოს მაგიდა დაათვალიეროთ. Prada-სა და Google-ს პროექტით კი სახლიდან გაუსვლელად სამუზეუმო ფერწერული ქმნილებებისა და სხვა ნამუშევრების დეტალური დათვალიერება – ტკბობაცაა შესაძლებელი. იქმნება ახალი საინტერნეტო ქსელები, რომლებიც ერთმანეთის ანალოგია, თუმცა ახალი, როგორც წესი, წინარეს ერთი თავით სჯობს.

სურველ გზავნილებს არასოდეს გაუჟონავს.

ამერიკის მთავრობა, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, ერთგვარი ზეკორპორაციაა, რომელსაც ყოველთვის ექნება თავისი კორპორაციული ინტერესები, კორპორაციული ფული და კორპორაციული ნანოტექნოლოგია, მათ შორის საარჩევნო ბრენდიც. რესპუბლიკელი მაკქეინის გამწევი ძალა – სანავთობო, საბანკო ბიზნეს-ზვიგენები, დიდი კორპორაციები, სოლიდური გამოცდილება და ვიეტნამის ომი – არ აღმოჩნდა საკმაო არგუმენტი იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სადაც ეიჯიზმი (დისკრიმინაცია ასაკის მიხედვითძ მიუღებელია, სექსიზმი (დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნითძ რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულობის ევერესტად ითვლება, ხოლო ბედნიერების უფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. ომი კი, რა უკეთილშობილურეს მიზანსაც არ უნდა ისახავდეს, მით უმეტეს სამშობლოდან შორს, მორალურად და ეკონომიკურად გაუმართლებელი და ურთიერთობის ძალიან მოძველებულ ფორმად ითვლება. თავის საინაუგურაციო სიტყვაში ობამას არ უხსენებია სიტყვა „მტერი", არამედ თქვა – „ძალადობის ძსელი". რასაკვირველია, ჰარვარდდამთავრებულ კაცს პუტინისეული მარგალიტი „მოჩიტ ვ სორტირე" ვერ აღმოხდებოდა, რადგანაც ჯერ ერთიც, იგი ბუშის საომარი პოლიტიკის კრიტიკის ტალღაზე მოვიდა და მეორეც, სიტყვა „მტერი" ყურს მწარედ ჭრის. 20 იანვარი დემოკრატთა გარემოცვაში თეთრ ყვავად ნამდვილად არ გრძნობს თავს. ამას წინათ მან ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ძალაში რამდენიმე წლის შემდეგ შედის. იგი გულისხმობს ბატების და იხვების პაშტეტებისთვის კალორიულ-ძალადობრივი კვების აკრძალვას. ეს კანონი ცხოველთა უფლებების დამცველთა ლობირებით მიიღეს. საინტერესოა, ობამას ადმინისტრაციის რა კანონი აკრძალავს ლობისტურ საქმიანობას და რა პრინციპი განსაზღვრავს, თუ რომელი ლობისტი საკაცობრიო საქმით იქნება დაკავებული და რომელი – არა. კალიფორნია დემოკრატიული პარტიის სტრატეგიული გავლენის სფეროა. ჰოლივუდის მსახიობები და სილიკონისველელები კი, როგორც წესი, დემოკრატიული პარტიის წევრებად თუ არა, გულშემატკივრებად მაინც ითვლებიან. ითვლებიან კი არა, არიან. 8 წლის წინათ სილიკონის ველი დამარცხდა, როცა საპრეზიდენტო არჩევნებზე ჯორჯ ბუშის მეტოქემ ჯონ კერიმ ვერ გაიმარჯვა. მაშინ ამერიკა ჯერ კიდევ „კონსერვატიული" (როგორც წესი, ინერციით ამ თვისებას რესპუბლიკელებს მიაწერენძ იყო, ხოლო „General Motors"-სა და „Wall Street"-ს ნამდვილად არ სჭირდებოდა სახელმწიფოს სასწრაფო დახმარება და ერთმანეთზე უფრო ხმამაღლა არ გაჰყვიროდნენ SOS! ... Google კი ამ დროს მხოლოდ ძალას იკრებდა...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ.კორ. ნიუ-იორკი, აშშ**
**(დასასრული იქნება)**

⊙ პასუხად „ბალავარს"

„საქართველოს რესპუბლიკამ" ჩემი რეპლიკის გამოხმაურებას საგუთიანი პასუხი გასცა. თუმცა თავს ვალდებულად ვთვლი, ჩემი მოსაზრებაც წარმოვადგინო

***„საქართველოს რესპუბლიკის" 2008 წლის 239-ე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი რეპლიკა. მასში ლაპარაკი იყო საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარის" მიერ მოწყობილ გამოცდა-კონკურსის ზოგიერთ კითხვაზე, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ვიმედოვნებდი, შეკითხვების ავტორები სამართლიან მითითებებს გაიზიარებდნენ, უფრო ფრთხილად იქნებოდნენ და სამომავლოდ უფრო დაზუსტებულ კითხვებს გამოიყენებდნენ. „ბალავარის" მესვეურებს, ეტყობა, მითითებები ემწუთხათ და კაპასი პასუხი მოამზადეს. მათი აზრით, ჩემს „მიზანს წარმოადგენდა არა ენობრივ-ლიტერატურული ხასიათის სამართლიანი კრიტიკა", არამედ „კენგურუს" დისკრედიტაცია.***

# „საიდუმლო ყოველი უცებ გაქვეყნიერდა"

არც საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარის", არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის წინააღმდეგი არა ვარ, თუკი ისინი ხელს უწყობენ ახალგაზრდობის ცოდნის გაღრმავებას, განათლების დონის ამაღლებას. მივესალმები „ბალავარის" მცდელობას, ჩაატაროს საერთაშორისო კონკურსები, განსაკუთრებით კი მის ბრძოლას „ზოგიერთი ავის მქმნელი ჩინოვნიკის" წინააღმდეგ. მეც ამგვარი ჩინოვნიკების მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვტრიალებ; მეც „საქართველოს დაქცეულ განათლების სისტემაში" შუქის შეტანას ვლამობ. აქ მე და „ბალავარი" ერთადა ვართ, ოღონდ გამოცდა-კონკურსის იმ შეკითხვებს, რომლებიც მცდარია, მაინც ვერ მოვითმენ. კერძოდ, ფაქტობრივი შეცდომაა საკითხის ასე დაყენება: ვინ ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსანში" ქართულად? მე, რუსთველოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „ვეფხისტყაოსანზე" გამოცემული სამი წიგნისა და ათობით სტატიის ავტორი, კიდევ ერთხელ გიცხადებთ: **პოემაში ქართულად არავინ მეტყველებს!** ავთანდილზე ნათქვამი „ყმა ტკბილი და ტკბილქართული" არ ნიშნავს, თითქოსდა ავთანდილი ქართულად მეტყველებდეს. აქ არც ავტორს მოსვლია შეცდომა (არაფერი წამოსცდენია!ძ. ძველად „ქართული" ნიშნავდა ენას, მეტყველებას, ხოლო „ტკბილქართული" – ენატკბილს. არც მეტი, არც ნაკლები!

ასევე მცდარია შეკითხვა: „რომელი პერსონაჟი დაახასიათა შოთა რუსთველმა ასე: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!" კიდევ ერთხელ გასწავლით: ამ აფორიზმით არ ხასიათდება არც ერთი პერსონაჟი. აქ საუბარია ვერაგ და უმსგავსო წუთისოფელზე. პოემაში მკაფიოდ და უთუმცაოდ არის მითითებული:

**ბინდის გვარია ს ო ფ ე ლ ი,**
**ესე თურ ამად ბინდდების,**
**კოკასა შიგან რაცა დგას,**
**იგივე წარმოდინდების!**

სადავო აქ არაფერია: რაცა დგას წუთისოფლის კოკაში, იგივე გადმოდინდებაო.

მცდარად დაყენებულია მე-15 პარაგრაფის კითხვა: **„ვეფხისტყაოსნის" რომელი აფორიზმი** გამოიყენა ილიამ „აჩრდილის" ეპიგრაფად? (გვ. 2ძ. და წარმოდგენილია ოთხი სიბრძნე. პირველ აფორიზმად მოყვანილია – „რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა!" არადა ეგ ფრაზა რუსთველის არაა. ზემორე კი ვკითხულობთ: **„ვეფხისტყაოსნის" რომელი აფორიზმი"** გამოიყენა ილიამ თავისი პოემის ეპიგრაფადო. მაშ, ეს სიბრძნეც რუსთველისეულად არის მიჩნეული.

იმ მცირე ენობრივ უზუსტობებზე, რომლებიც საგამოცდო კითხვარში გაპარვიათ, რეპლიკაში მოგახსენეთ და აღარ გავიმეორებ. სამაგიეროდ, ზემორე დაბეჭდილ პასუხში გაპარული მრავალი შეცდომიდან მხოლოდ ერთზე მივუთითებ. „პასუხის" პირველივე აბზაცში ვკითხულობთ: „მაღალი, თუ – დაბალი", „მცოდნე, თუ – უცოდინარი", „ჯანმრთელი, თუ – საპყარ-ხეიბარი", ცნობილი მეცნიერი, თუ – მზაკვრული დავალების შემსრულებელი?!"

ავტორთა ბრიგადას ვასწავლი: არც ერთი „თუ" კავშირის წინ მძიმე და მომდევნო დეფიზი საჭირო არაა. „თუ" აქ „და" კავშირის მსგავს ფუნქციას ასრულებს და არა პირობითი დამოკიდებული წინადადების კავშირისას. მაშ, მომყავს სანიმუშო მაგალითები ბრიგადის წევრთათვის: ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მცოდნე თუ უცოდინარი; მეორე მხრივ, „თუ" კავშირის წინ ყოვნის ნიშანია დასასმელი, როდესაც იგი პირობით დამოკიდებულ წინადადებას მეწინავეობს: „მე, მურმან თავდიშვილი, „ბალავარს" მივესალმები, თუ იგი დაშვებულ შეცდომებს აღიარებს".

„პასუხის" პასუხს კი იმამ ხომეინის მშვენიერი ლექსის ციტატით დავასრულებ: „საიდუმლო ყოველი უცებ გაქვეყნიერდა!"

**მურმან თავდიშვილი**

⊙ ინფორმაცია

## რკინიგზით გადატვირთები შემცირდა

**რკინიგზით გადაზიდვები საქართველოში 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, 700 ათასი ტონით შემცირდა. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა.**

**2007 წელს გადაზიდვების მოცულობამ 22 მლნ ტონა შეადგინა, ხოლოდ 2008 წელს – 21,3 მლნ ტონა.**

**ამასთან, ირაკლი ეზუგბაიას თქმით, აგვისტოს საომარი მდგომარეობის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველომ შეძლო ტვირთების ძირითადი ნაწილის შენარჩუნება საკუთარ სარკინიგზო დერეფანში.**

ინტერპრესნიუსი

**⊙ კალათბურთი**

# თსუ — ყოფნა-არყოფნის ზღვარზე



**კვირას თბილისის სპორტის სასახლეში განახლდება სუპერლიგის შეხვედრები. გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის III წრის სასტარტო მატჩების განრიგს.**

**მაქაბი — შსს $12^{15}$**
**დინამო — თსუ $14^{15}$**
**სასოფლო — ენეჯრი ინვესტი $16^{15}$**
**ნტდ — ავიამშენი $18^{15}$**
**ისვენებს ბათუმი.**

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას — მონაწილეთა ნუსხაში კვლავ არის მოხსენიებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც უსახსრობის გამო ვერ იასპარეზა ამასწინანდელი ეროვნული თასის გათამაშებაში. ვიმედოვნებთ, სტუდენტთა პრობლემები წარსულს ჩაბარდა.

**⊙ ჩოგბურთი**

# მოგებით დაიწყო



**ქართველმა ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა — ერთეულთა თანრიგში ზალცბურგის (ავსტრია) საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) მან ჩეხ დავიდ სოდეკს სძლია 6:3, 6:2 და მერვედფინალში გავიდა.**

**⊙ დედამიწის გარშემო**

# უკონკურენტოდ!

**უკვე 80 დღეა, ოკეანეში არიან დედამიწის გარშემო მარტოდმარტო ნავსადგურებში შეუსვლელად რბოლის Vendee Clobe მონაწილენი. რბოლის ლიდერი ფრანგი მიშელ დეჟუაიე ახლა უკვე აზორის კუნძულების გასწვრივ მიცურავს.**

შეგახსენებთ, რომ ფრანგი მეზღვაური ლიდერი გახდა რბოლის 47-ე დღეს. მას შემდეგ ვერც ერთი მისი მეტოქე ვერ ახერხებს მასთან დაწევასა და რაიმე კონკურენციის გაწევას. მოელიან, რომ მამაცი ნოსანი ფინიშთან ლე-საბლ-დ' ოლონში თებერვლის პირველ რიცხვებში მივა.



**⊙ ფეხბურთი**

# ევროპის სტადიონებზე



**იტალია. XXII ტური.** კატანია — ინტერი 0:2, რომა — პალერმო 2:1, მილანი — ჯენოა 1:1, ფიორენტინა — ნაპოლი2:1, ტორინო — რეჯინა 0:0, ატალანტა — ბოლონია 0:1, კალიარი — სიენა 1:0, კიევო — ლეჩე 1:1, სამპდორია — ლაციო 3:1, უდინეზე — იუვენტუსი 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი — 49, იუვენტუსი — 43, მილანი — 41 ქულა.

**შემდეგი ტური:** ინტერი — ტორინო, იუვენტუსი — კალიარი, ლაციო — მილანი.

**ინგლისი. XXIII ტური.** ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერი 0:5, სანდერლენდი — ფულჰემი 1:0, უიგანი — ლივერპული 1:1, პორტსმუთი — ასტონ ვილა 0:1, ვესტ ჰემი — ჰალი 2:0 ბლექბერნი — ბოლტონი 2:2, ტოტენჰემი — სტოკი 3:1, ევერტონი — არსენალი 1:1, ჩელსი — მიდლსბრო 2:0, სიტი — ნიუკასლი 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** მანჩესტერი — 50 (22 თამაშიდან), ჩელსი, ლივერპული — 48-48 ქულა.

**შემდეგი ტური:** მანჩესტერი — ევერტონი, ლივერპული — ჩელსი.

**გერმანია. თასის მეოთხედფინალი.** შტუტგარტი — ბაიერნი 1:5, ლევერკუზენი — კოტბუსი 3:1, ბორუსია — ვერდერი 1:2, ვოლფსბურგი — ჰანზა 5:1, კარლ ცეისი — შალკე 1:4, ჰამბურგი — მიუნხენი 3:1, ფრაიბურგი — მაინცი 1:3, კარლსრუე — ვეენი 0:1.

**საფრანგეთი. თასის მერვედფინალი.** ლიონი — მარსელი 1:0.

**შოტლანდია. ლიგის თასის ნახევარფინალი.** რეინჯერსი — ფალკირკი 3:0, სელტიკი — დანდი იუნაიტედი 0:0 (პენალტებით — 11:10).

**⊙ ჰოკეი**

# ბაკურიანი უმასპინძლებს



გულშემატკივრებმა იციან, რომ საქართველოში კვლავ იწყებს აღორძინებას ჰოკეი. დასტურად სამთა ტურნირიც გამოდგება, რომელსაც თებერვლის დასაწყისში ბაკურიანი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში თბილისის გუნდი, სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები და ბაკურიანის „მიმინო" იასპარეზებენ.

**გაუწყებთ ორწრიანი ტურნირის კალენდარს:**
**2 თებერვალი. „მიმინო" — სომხეთი.**
**3 თებერვალი. თბილისი — სომხეთი.**
**4 თებერვალი. „მიმინო" — თბილისი.**
**6 თებერვალი. „მიმინო" — სომხეთი.**
**7 თებერვალი. თბილისი — სომხეთი.**
**8 თებერვალი. „მიმინო" — თბილისი.**

* * *

ევროპის ჩემპიონთა ლიგა პირველად მოიგო შვეიცარიის „ციურიხმა", რომელმაც ორმატჩიანი ფინალი მოუგო მაგნიტოგორსკის „მეტალურგს" — 2:2, 5:0.

**⊙ ქართული ჭიდაობა**

# მაისურაძის სახელობისა

**სახელოვანი მოჭიდავე — ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონი და აბსოლუტური ფალავანი სიმონ მაისურაძე, რომელიც მთელი ცხოვრება ქართული ჭიდაობის საკეთილდღეოდ იღვწის, 82 წლისა მოიყარა. იგი დღესაც მხნედ დგას ეროვნული საუნჯის სადარაჯოზე.**

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი დიმიტრი დუნდუა) ინიციატივით შაბათს ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში სიმონ მაისურაძის სახელობის ტურნირი გაიმართება.



ასპარეზობას არმიის სასპორტო კლუბის დარბაზი უმასპინძლებს.


## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" 2008 წლის საფინანსო დეკლარაცია

**ჩვენს დეკლარაციაში ავსახავთ შემდეგს:**

**1. პარტიული წლიური შემოსავალი — 150 ლარი 00 თეთრი აქედან:**

| | |
|---|---|
| ა) საწევრო შენატანების ოდენობა | — 0 ლარი: |
| ბ) შემოწირულობების ოდენობა | — 0 ლარი; |
| გ) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა | — 0 ლარი; |
| დ) ნებაყოფლობითი ფულადი შემოწირულობანი ფ/პ-გან | — 150 ლარი. |

**რამაზ სანებლიძე** — პირ. მოწმ. № ა1048324, პირადი №01017006837-გაც. სამოქალაქო რეესტრის საბურთალოს რაი. სააგენტო, გაც-16-03-2007 წ.
სულ: — 150 ლარი.

**2. პარტიული წლიური გასავალი — 150 ლარი 00 თეთრი. აქედან:**

| | |
|---|---|
| ა) აუდიტორული მომსახურება | — 50 ლარი; |
| ბ) გაზეთში განცხადების განთავსება | — 100 ლარი. |

**სულ — 150 ლარი.**

**3. ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში:**

ა) კუთვნილი შენობა-ნაგებობები — 0 (არ გააჩნია);

ბ) გაფორმებულია ქვეიჯარის ხელშეკრულება ფართზე — აიპ „მომავლის ფონდთან", 2007 წლის 15/XI-დან — 15/1-2008 წლამდე, ქირის ოდენობაა 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მისი საერთო ღირებულება — 0 (არ გააჩნია);

დ) 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პარტიას ქონების სახით ერიცხება 335 (სამას ოცდათხუთმეტი) ლარის საერთო ღირებულების მქონე სასაქონლო-მატერიალური მარაგი (პარტიის დროშები — 320 ლარი და პარტიის ბეჭედი — 15 ლ);

ე) საბანკო დაწესებულებაში ჩარიცხული თანხების ოდენობა — 0 (საბანკო ანგარიში არ გააჩნია).

**მოქალაქეთა პ/გ „მომავლის პარტიის" თავმჯდომარე**



**გ. მაისაშვილი.**

**20.01.09 წ.**

აუდიტ-კომპანი AUDIT - COMPANY
АУДИТ-КОМПАНИ

" 22 " იანვარი 2009

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" მომართვის საფუძველზე, „შპს „აუდიტ-კომპანის" აუდიტორმა მოახდინა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშების აუდიტი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აუდიტისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" ხელმძღვანელობას. ჩვენი მოვალეობა ისაა, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოვხატოთ ჩვენი აზრი მისი საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის თაობაზე.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება მიღებული აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ საიმედო გარანტია გვქონდეს დასკვნისთვის, რომ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია არ შეიცავს არასწორ ცნობებს. მიგვაჩნია, რომ აუდიტის შედეგები საიმედო საფუძველია ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის, რომლის თანახმად წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია შედგენილია სამართლიანად და იგი ყველა არსებითი მხრით წარმოგვიდგენს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" ფინანსურ მდგომარეობას.

ჩვენი აზრით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტიის" წარმოდგენილი ფინანსური დეკლარაცია 31.12.2008-ის მდგომარეობით და თანდართული დანართი საკმარისი სისრულით ასახავენ პარტიის ფინანსურ მდგომარეობას, მის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

**შპს „აუდიტ-კომპანის" დირექტორი, აუდიტორი (გ. გაგნიძე**

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ველის სასაწყობე ბაზის შენობა-ნაგებობებისა, მათზე დამაგრებული მიწის ფართისა და ტექნიკური საშუალებების რეალიზაციის თაობაზე საკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით**

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

● **სარეალიზაციო ქონების იურიდიული მისამართი –** ქ. თბილისი, ველი.

● **ქონების დახასიათება**

✓ შენობები საერთო ფართით – 1 289,20 კვ/მ.
✓ ჯიხური (სადარაჯო) –39,0.
✓ ქვესადგურის შენობა (სატრანსფორმატორო) – 95,5.
✓ კორპუსი (შენობა სარემონტო) 54,6.
✓ ადმინისტრაციის შენობა 54,6.
✓ საწყობი 475,0.
✓ კორპუსი 95,5.
✓ სასაწყობე ბაზა 475,0.
✓ 2 ერთეული დაუმთავრებელი სამრეწველო შენობა.

**ნაგებობები:**
✓ 8 ერთეული საპროჟექტორო ანძა (7 ერთეული ლითონის, 1 ერთეული რკინა-ბეტონის).
✓ რკინა-ბეტონის ღობე.

**ლიანდაგი 3.872,0 გრძ.მ.**
✓ 7 ერთეული საისრე გადამყვანი.

**მანქანა-დანადგარები:**
✓ 4 ერთეული ჯოჯგინა ამწე (2 ერთეული 20ტ, 2 ერთეული 10ტ).

● **შენობებზე დამაგრებული მიწის ფართი – კვ.მ 138 123,43 კვ.მ.**
● **საწყისი გასაყიდი ფასი – 4 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).**
● **„ბე“ – 410 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.**
● **ბიჯი – 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.**
● **ბილეთის ფასი – 200 ლარი.**

**2. სააუქციონო პირობები**

● მყიდველი ვალდებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე ნასყიდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ააშენოს საკონტეინერო ტერმინალი (საბაჟო საწყობი).
● აუქციონში მონაწილეობა შეუძლია, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და საქართველოს საწარმოს.

**განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48, 56-53-20, 56-65-10.

**განაცხადების მიღების ვადა** – 2009 წლის 29 იანვრიდან 2009 წლის 27 თებერვლის ჩათვლით. განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 12 საათამდე.

**აუქციონი ჩატარდება** – 2009 წლის 27 თებერვალს 14.00 საათზე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

**3. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

● სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ საწყისი ღირებულებისა.

**4. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება**

● აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას მყიდველსა და გამყიდველს შორის.
● ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე.
● აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.
● ქონებაზე საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ. თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის საბოლოო თანხას ან უარს იტყვის აუქციონის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.
● თუ აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონის მინაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდებათ.

**5. გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა**

● მყიდველი ვალდებულია, აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

**6. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

● დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.
● „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
● აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
● იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
● სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
● აუქციონში მონაწილეს „ბე“-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.
● სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

**7. შენიშვნები და დათქმები**

● საიჯარო ქირა რკინიგზის ლიანდაგით სარგებლობისათვის მოიჯარეს არ გადაეხდება.
● მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
● დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
● განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
● თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.
● მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გადაცემული ქონება, მათ შორის, შეამოწმოს ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**
**საკონტაქტო ტელეფონები:**
**56-33-48, 56-65-10.**

---

ხელოვნება

# ირაკლი ღუდუშაური



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნ.მეცნ. დოქტორი, პროფესორი ირაკლი ღუდუშაური, რომელმაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის წვლილი შეიტანა უწყვეტ ტანთა კლასიკური მექანიკის სრულყოფასა და განვითარებაში.

ირაკლი ღუდუშაური დაიბადა 1925 წლის 15 მაისს ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოში.

1945 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ყაზბეგის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპიძ სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1950 წ.

სპი-ის დამთავრებისთანავე იგი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და იმავე წელს, ასპირანტურის სრული კურსის გავლის მიზნით, იგი მიავლინეს ქ. მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტში, სადაც 1954 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

იმავე წელს ბატონი ირაკლი ბრუნდება თბილისში და აგრძელებს მუშაობას ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ გადადის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც იმ პერიოდში ფართოდ იყო გაშლილი საპასუხისმგებლო ნაგებობების (ენგურის, ხუდონისა და სხვა კაშხლებისძ გაანგარიშებასთან დაკავშირებული თეორიული გამოკვლევები. აქ ბატონი ირაკლი გარდაცვალებამდე ენერგეტიკულ ნაგებობათა თეორიული კვლევის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ბ-ნი ირაკლი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, 1956 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პროფესორის თანამდებობაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრაზე.

ბ-ნი ირაკლი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.ზავრიევის სამშენებლო საქმისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი კონსულტანტი.

1996 წლიდან პროფესორი ირაკლი ღუდუშაური საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსია, სადაც ხელმძღვანელობს ნაგებობათა თეორიული კვლევების განყოფილებას.

მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგად ბატონმა ირაკლიმ შექმნა სრულიად ახალი და მეტად ეფექტური მიმართულება, რომელიც ამჟამად ფართოდაა ცნობილი სახელწოდებით „უწყვეტ ტანთა მექანიკა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში“. ეს დამუშავებული მიმართულება გამოქვეყნებულია 1990 წელს მონოგრაფიაში „დრეკადობის თეორია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში“.

მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები შესრულდა ირაკლი ღუდუშაურის ხელმძღვანელობით ენგურჰესისა და ხუდონჰესის თაღოვანი კაშხლების დაგეგმარების პროცესში.

პროფ. ი.ღუდუშაურის მეცნიერულ გამოკვლევებში განსაკუთრებით არის აღსანიშნავი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც ეხება ნაგებობების საძირკვლების ფილების გაანგარიშებას დრეკად ნახევარ სივრცეზე.

ბ-ნი ირაკლის მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს დაზიანებული ისტორიული ძეგლების გამაგრებასა და რესტავრაციასთან, სადაც იგი წარმატებით იყენებდა თავის მდიდარ გამოცდილებას სხვადასხვა დანიშნულების ურთულესი ნაგებობების საიმედოობის უზრუნველყოფაში. ამ საკითხების გადაწყვეტისას ბატონმა ირაკლიმ ოსტატურად გამოიყენა ნატურულ დაკვირვებათა მონაცემებისა და შესაბამისი თეორიული გამოკვლევების შედეგების ერთობლივი გაანალიზების მეთოდი.

ბოლო დროს ბ-ნი ირაკლი ინტენსიურად მუშაობდა ქართულ ენაზე სქელტანიანი მონოგრაფიის შესაქმნელად, სადაც მოყვანილი იქნებოდა მისი მრავალწლიანი მეცნიერული გამოკვლევების ძირითადი შედეგები.

1995 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

იყო საქართველოს ენერგეტიკისა და ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების აკადემიკოსი.

აირჩიეს 1999 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც ხელმძღვანელობდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტს.

ი.ღუდუშაურს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 15 ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი და 2 ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, რომლებიც დღესაც წარმატებით აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

ძნელია წარმოვიდგინოთ ენერგეტიკის კვლევითი ინსტიტუტი ბატონი ირაკლის გარეშე. მისი კოლორიტული ფიგურა ყოველ ჩვენგანში განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა, სიცოცხლის სიყვარული და მისი შემართება გადამდები იყო ყველა მასთან მყოფი ადამიანისთვის. მიუხედავად ასაკისა, იგი სრული დატვირთვით მონაწილეობდა ინსტიტუტის საქმიანობაში. მისი სახელი დაუვიწყარი დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

გ. ჩოგოვაძის სახ. საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ირაკლი იოსების ძე ღუდუშაური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ გამოფენა

# „ჩეხური მარგალიტები“

**ჩეხეთი ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი სახელმწიფოა გამორჩეული კულტურით, ისტორიითა და ხელოვნებით. მაგრამ ბევრმა თუ იცის, რომ მსოფლიოში ტექნიკისა და ხელოვნების ზოგიერთ მიღწევას ამ პატარა სახელმწიფოში ჩაეყარა საფუძველი.**

პრაღა-გრადი, ანუ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი არ-







ქიტექტურული კომპლექსი, ციხესიმაგრე-რეზიდენცია გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

სამეფო ცხენები, რომლებიც ძველ ჩეხეთში გამოიყვანეს როგორც უნიკალური ჯიში, იუნესკოს კაცობრიობის კულტურის სიმდიდრეთა ჩამონათვალშია შეყვანილი.

მცენარე, რომელიც ჩეხური ზანზალაკის სახელითაა ცნობილი და ჩრდილოეთ ჩეხეთში კრკონოშის მთიან მასივში ხარობს, უნიკალური ენდემური ჯიშია.

საკონტაქტო ლინზები 1956 წელს გამოჩენილმა ჩეხმა ქიმიკოსმა და გამომგონებელმა ოტო ვიხერლემ შექმნა. ამ ლინზებით ახლა მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანი სარგებლობს.

მსოფლიოში ყველაზე დიდი „ავაზაკთა ბუნაგი-თავშესაფარი“ სამხრეთ ჩეხეთში ქალაქ ინდრჟიხევ-გრადცეში მდებარეობს.

ხეთების უძველესი ენა 1915 წელს ჩეხმა აღმოსავლეთმცოდნემ ბედრჟიხ გროზნიმ გაშიფრა.

ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ჩეხეთის 34 საამქროში ამზადებდნენ მინასა და ბროლს.

რობოტი ჩეხური სიტყვაა და პირველი მექანიკური რობოტებიც სწორედ ამ ქვეყანაში შექმნეს.

მსოფლიოში პირველი მეხამრიდი ჩეხმა სასულიერო პირმა პროკოფი დავიშმა ააგო.

ეს ჯერ კიდევ არასრული ჩამონათვალია მსოფლიო მიღწევებისა და გამოგონებისა, რომელიც ამ პატარა ქვეყნის მკვიდრთ მიეწერება.

ჩეხეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. სწორედ ჩეხეთის საელჩოს ხელშეწყობითა






და ძალისხმევით თბილისში ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც ჩეხური მიღწევების ნიმუშებია წარმოდგენილი. „ჩეხური მარგალიტების“ ხილვით დატკბობა 8 თებერვლამდე შეგეძლებათ.

**ელგუჯა ნადარეიშვილი.**

**სურათებზე: მსოფლიოში პირველი მარიონეტი თოჯინა; სამეფო ჯიშის ცხენი; პრაღა-გრადის კომპლექსის ნაწილი; კონტაქტური ლინზები.**

**ავტორის ფოტო.**

◉ დაფასება

# ღირსებიან კაცს — ღირსეულად!

## ოთარ კაპანაძეს ღირსების ორდენი გადაეცა

იცით, რატომ „დაავიწყდათ“ ოთარ კაპანაძის ცხოვრების გზის ღირსების ორდენით აღნიშვნა?.. არ უყვარს ყელყელაობა, გაკეთებული საქმით თავმოწონება, რაც მთავარია, რაღაც-რაღაცების „ჩაწყობა“, თორემ ღირსების ორდენს ქვეყანას ურიგებდნენ და მას ვინ „დაამადლიდა“?..

ეტყობა, დაწესებულების ხელმძღვანელებმაც მიაყურისძირეს მისი წარდგენა ქვეყნის ერთ-ერთ უპირველეს ჯილდოზე და ამასობაში ქე მოიყარა ბატონი ოთარი 83 წლისა.

ახლა, ცხადია, გაინტერესებთ, ვინ არის ეს კაცი? იგი ჩვენი ამქრის, ჟურნალისტთა საძმოს (მეტადრე უფროსი ასაკისძ ერთ-ერთი მართლაც ღირსეული წევრია, ქართულ სიტყვას, ქართული ენის სიწმინდის დაცვას ემსახურება, „საქინფორმში“ (ადრე საქდესშიძ თითქმის მთელი ცხოვრება მოათია, სამაგალითო იყო დიდი პროფესიონალიზმით, ინტელექტითა და სიდარბაისლით (ამაში უცებ დარწმუნდა მთელი ჩვენი რედაქცია, რაკი ბატონი ოთარი „დაგვიახლოვდა“ — ეს ერთი ხანია მთარგმნელად მუშაობს ჩვენთანძ, საქმისადმი უზადო დამოკიდებულებით.

კაი კაცობა არ იკარგება, ეტყობა, ძველმა თუ ახალმა მე-



გობრებმა „გაიხსენეს“ ღვაწლმოსილი უფროსი მეგობარი, ეტყობა, „ზემოთ“ მიაწვდინეს ხმა — გაასწორეთ, ბატონებო, ეს კაზუსიო, და აი, ამას წინათ ოფიციალურად აცნობეს ბატონ ოთარს ღირსების ორდენის მინიჭების ამბავი მაღალპროფესიონალიზმისა და ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის! რა გვეთქმის, სჯობს გვიან!.. ასეთი ღირსეული ხალხი არ მოჰკლებოდეს საქართველოს! გილოცავთ, ბატონო ოთარ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ხელოვნება

# იოსებ ვაშაკიძე

გარდაიცვალა ცნობილი გეოლოგი, ნიჭიერებით, პროფესიული ოსტატობით, კაცურკაცობით და კარგი ოჯახით გამორჩეული ადამიანი იოსებ (სოსოძ გიორგის ძე ვაშაკიძე.

დაიბადა 1928 წელს ქ.ქუთაისში. მისი სიყმაწვილის წლები მეორე მსოფლიო ომის რთულ, საერთო გაჭირვებით აღბეჭდილ პერიოდს დაემთხვა. ამიტომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ჩაება შრომით საქმიანობაში, 1942 წლიდან მუშაობდა საქართველოს რკინიგზაში. 1948 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1953 წლიდან, დაიწყო მისი წარმატებული მოღვაწეობა კავკასიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის სარბიელზე. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს გეოლოგიის სამმართველოსა და კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1972-75 წ.წ. მივლინებით იმყოფებოდა ალჟირის რესპუბლიკაში.

სოსო ვაშაკიძემ თავისი ხანგრძლივი პროფესიული საქმიანობა გეოლოგიურ აგეგმვას მიუძღვნა. იგი იყო გეოლოგიის ამ საკვანძო განხრის თვალსაჩინო სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით და ავტორობით შედგენილ იქნა საქართველოს რი-



გი რაიონების სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური რუკები. პარალელურად ეწეოდა მეთოდურ და სამეცნიერო კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა კავკასიის რეგიონალური გეოლოგიის საკითხებზე. მის მიერ შემუშავებულ კავკასიონის ქვედა-შუაიურული ნალექების სტრატიგრაფიულ სქემას, როგორც წესი, იყენებენ საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების გეოლოგები მსხვილმასშტაბიანი სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენისას.

ძალზე სამწუხაროა, რომ საქართველოს გეოლოგიური სამსახურის ამჟამინდელი კრიზის დროს წუთისოფელს ტოვებს გეოლოგ-ამგეგმავების უკანასკნელ მოჰიკანთაგან ერთ-ერთი, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი იოსებ (სოსოძ ვაშაკიძე. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომელთა გულებში და საერთოდ, გეოლოგთა საზოგადოებაში.

**კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

ძმა გრიგოლ (მერვედძ კუპრავა, რძალი ლუიზა კვირცხალია, ძმისწულები თეა, კახა ოჯახით იუწყებიან
ლუბა კუპრავა-ესვანჯიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით იუწყება
ლუბა კუპრავა-ესვანჯიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.

---

ალბერტ და რუსლან რუსიები თანაუგრძნობენ ვახტანგ ესვანჯიას
დედის
გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ლუიზა, გრიგოლ (მერვედ), თეა, კახა კუპრავებს დის, მულისა და მამიდის
ლუბა კუპრავა-ესვანჯიას
გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს გოდერძი და ზურაბ კუპრავებს მამიდის
ლუბა კუპრავა-ესვანჯიას
გარდაცვალების გამო.

---

მამია სულაბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი გეოლოგის, შესანიშნავი სპეციალისტის, მეგობრებისა და მეზობლების უზომოდ მოყვარულის, ყველას დამხმარე პიროვნების
სოსო ვაშაკიძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ენგურჰესის“ კოლექტივი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ქეთევან პეტრიაშვილს დამსახურებული და უკეთილშობილესი პიროვნების, საყვარელი მამის
ჯიმშერ პეტრიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ლამარა და ვალერი კანკიები იუწყებიან ოჯახის ახლობლის
ირაკლი ხმელიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.